პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 85 (20681) — შაბათი, 10 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1990 წლის 7 თებერვალს

ვიტყვი რამდენიმე სიტყვას, რომ არ დავიწყოთ გრძელი კამათი, რადგან უნდა დავამთავროთ დიდი სჯა-ბაასი, რომელიც ამ სამი დღის განმავლობაში გვქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების სხდომათა დარბაზში.

ვფიქრობ, რომ პლენუმზე დისკუსია საკითხთა მთელი კომპლექსის გამო იყო იმ დოკუმენტებისა და პრობლემების მასშტაბურობისა და სიახლის ადეკვატური, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ. ახლანდელი პლენუმი შეგვიძლია დავახასიათოთ ასე: მან გამოავლინა ცენტრალური კომიტეტის, მთლიანად პარტიის უდიდესი ზრუნვა და უდიდესი წუხილი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესები. პლენუმმა მკაცრად, კრიტიკულად გააანალიზა მთელი გარდაქმნის პროცესი და ამ საფუძველზე მოგვცა იმის პროგნოზი, რა და როგორ ეკეთოთო. ეს აისახა იმ პოლიტიკურ ორიენტირებშიც, რომლებიც ჩავაქსოვეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაში.

ალბათ, XIX პარტიული კონფერენციის რეზოლუციებზე მუშაობის შემდეგ ეს მეორე ასეთი შემთხვევაა, როცა მთელი ცენტრალური კომიტეტი, როგორც იტყვიან, ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდა დოკუმენტზე. აქედან გამომაქვს ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა: მთელი აქტიურობა, სიმწვავე, განწყობილებანი, რომლებიც აქ გამოვლინდა, — ყოველივე ეს ამა თუ იმ ფორმით არის გამოვლინება ზრუნვისა პარტიისათვის, გარდაქმნის ბედისათვის, იმისათვის, რომ მმართველმა პარტიამ საზოგადოებას სწორი პოლიტიკური ორიენტირები მისცეს გარდაქმნის ამ ძალზე პასუხსაგებ ეტაპზე.

ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ აზრთა მთელი მრავალფეროვნების დროს, იგი კი კარგად ჩანს, თვით საპირისპირო პოზიციების პირობებშიც, რომლებიც აქ ჭარბად გამოვლინდა (იგრძნობოდა თავშეუკავებლობაც, მაგრამ ეს მისატევებელია!) ყველა ამხანაგი ერთიანი იყო იმაში, რომ საჭიროა ისეთი პროგრესული დოკუმენტი, რომელიც უკან კი არ მოგვიხმობს, არამედ წინ. ჩემი აზრით, ეს გაბატონებული აზრია.

ვფიქრობ, რომ მუშაობის რომელიღაც უბნებზე წარმოიშობა ძველი მექანიზმებიდანაც რაიმეს გამოყენების საჭიროება, როცა ახალი ჯერ არ ამოქმედებულა. ხომ არ შეიძლება საზოგადოება ესაჭოდ, იმ საშუალებების გარეშე დავტოვოთ, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმართონ გარდაქმნის პროცესი ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში. მაგრამ მაინც გაბატონებული აზრი — და ეს დამკვიდრებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაში — ის არის; რომ მომწიფებული პრობლემები უნდა გადავწყვიტოთ გარდაქმნის, საზოგადოების გაახლებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლების გზებზე, ეს მთავარია.

და მეორე აზრი, მე ვიტყოდი, მედლის მეორე მხარეა. ჩვენ ახლა არა მარტო გონებით, არამედ მთელი სხეულით ვგრძნობთ, რომ უხდა ვიმოქმედოთ მტკიცედ. უნდა იმოქმედონ ცენტრალურმა კომიტეტმა, მთავრობამ, უზენაესმა საბჭომ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩვენ მათ დაკვლევებს ვაძლევეთ. არა, ბამოვთქვამთ ჩვენს პოზიციას. და რაც მთავარია, ყველა ამ ორგანოში შემავალმა კომუნისტებმა უნდა იმოქმედონ ამ შეფასების საფუძველზე. დროის დაკარგვა აღარ შეიძლება. სამართლიანად ითქვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ: ახლა შეუწყნარებელია დაგვიანება, საჭიროა აზვირთებული, არაერთმნიშვნელოვანი, რთული პროცესების სათავეში ჩადგომა, რომ მხარი დაეუჭიროთ ჯანსაღ ტენდენციებს, განვამტკიცოთ ისინი და შევეცადოთ დავძლიოთ ან ჩავახშოთ დესტრუქციული ტენდენციები.

კომუნისტებმა უნდა იმოქმედონ მთავრობაში. ვფიქრობ, ამხანაგებმა სწორად შეახსენეს მთავრობაში მომუშავე პარტიის წევრებისათვის მნიშვნელოვანი იყო შეემოწმებინათ ეს ნაბიჯებიც, ორიენტირი მიეცათ მთელი პარტიისთვისაც, რომ მხარი დაუჭირონ, განამტკიცონ ისინი. უწინარეს ყოვლისა უნდა ეთქვათ, რომ მხარს უჭერენ ყრილობის მიერ მოწონებულ პროგრამას. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მთავრობა გამონახავს საიმისო ფორმას, რომ საქმის არსი გააგებინოს ცენტრალური კომიტეტის წევრებს, პარტიული კომიტეტების მდივნებს, რათა მათ ნათლად და სრულად წარმოიდგინონ მთელი კონკრეტიკა.

უნდა ვიმოქმედოთ უზენაეს საბჭოშიც, რომლისგანაც მოელიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს გარდაქმნის საკვანძო საკითხებზე, კვეყანაში სიტუაციის გაუჯობესებას. კომუნისტებმა აქტიურად და ეფექტიანად უნდა იმოქმედონ ყველა უბანზე. საერთოდ, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ძალების კონსოლიდაცია, მათი გადაჯგუფება და მტკიცედ წავწიოთ წინ გარდაქმნა და პრაქტიკული საქმეები. ეს მეორე.

რაც უფრო ღრმად შევდიოთ გარდაქმნის შრეებში, ვეხებით ყველა ფენას, წარმოიეს საპირისპირო მხარეთა პოზიციების, ინტერესების კრისტალიზაცია. ჩვენ ვიგრძენით, რომ ეს აქაც არის. ეს ასახავს ყოველივე იმას, რითაც ჩვენი საზოგადოება ცხოვრობს.

ის, რომ აქ ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას და ვაჯამებთ ძნელ დისკუსიაში, ზოგჯერ ჩვენს თავმოყვარეობას ლახავს. ამ დარბაზში გაისმის მწვავე გამოსვლები. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გამოგვაქვს მთავარი და, მე ვფიქრობ, პროგრესული დასკვნა. აი, სწორედ ამ დასკვნის ბაზაზეა საჭირო მოქმედების კონსოლიდაცია.

დისკუსია გაიმართა — გადაწყვეტილება მიღებულია. პროგრამა დამტკიცდა. ორიენტირები არის. უნდა ვიმუშაოთ, და არა ვითვალოთ, ვინ რა ფრაზა თქვა და ვის ეხება ეს. ჩვენ კი გვაყავს ასეთი სპეციალისტები! ვერაფრით ვერ შეეჩვევივართ იმას, რომ მიმდინარეობს დისკუსიათა ნორმალური პროცესი, რომ აზრთა პლურალიზმი — სწორედ ეს არის სხვაგვარად აზროვნება, სწორედ ეს არის ახლებურად გაგებული დემოკრატიული ცენტრალიზმი. ღია დისკუსიები, და ისიც ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გარდაქმნის ძირეული საკითხები, როცა წყდება ბედი, ხოლო თუ გავთვალისწინებთ მნიშვნელობას, — მსოფლიოს ბედიც. განა აქ შეიძლება, ასე ვთქვათ, ერთმანეთისათვის თავზე ხელის სმა, თავმოყვარეობაზე ფიქრი!

ყოველივე ეს ჩვენდა და აღარ უნდა დაბრუნდეს. აქ არაფერია სამკითხაო. ამასთან — შეიძლება ვიქონიოთ საქმე, იმასთან — არა. ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ, ვიგრძნოთ ერთმანეთის მხარდაჭერა, და ვიმოქმედოთ! და არ დავიწყოთ დაყოფა კლასებად და დაჯგუფებებად! ასე პარტიასაც დავლუპავთ და ქვეყანასაც. და კიდევ მინდა გითხრათ აქ პოლიტბიუროს წევრთა შორის გაჩაღებულ დისკუსიაზე. მე მეშახტეებს შეხვედრისას სიმარილე ვუთხარი, რომ უთანხმოებანი, რომლებიც დღეს ხელს შეუშლიდა პოლიტბიუროს ეფექტიან მუშაობას, არ არის. აზრთა ბრძოლა არის, დისკუსიები სულ უფრო მწვავდება, ეს გასაგებია. აი, მე შევხვდი მეშახტეებს მთელი ქვეყნიდან — რამდენი ინფორმაცია მომაწოდეს მათ! და ჩვენ მოვდიგართ სხდომაზე, დოკუმენტების განხილვაზე რაღაც მოსაზრებებით, იქ მიმდინარეობს შედარება, მწვავე სჯა-ბაასი. ამხანაგო მალკოვ, მინდა გითხრათ, რათა არავის არ ეპარებოდეს ეჭვი, თითქოს პოლიტბიუროო გათიშულიყოს. თითქოს საქმე დაღუპულიყოს. არ მომხდარა ეს, და უნდა ვეცადოთ, რომ ეს არ ჩაისახოს. ჩვენ ახლა ასეთი გამოცდას გავდიოართ ცენტრალურ კომიტეტში, პოლიტბიუროში, მთელ პარტიაში — მოწოდების სიმაღლეზე უნდა ვიყოთ.

ახლა ამ „სიმაღლეზე" მოგახსენებთ. მე ძალიან მომეწონა ის, რაც თქვა ალექსეევმა. იგი მარტო იურისტი როდია, მას ფილოსოფიური მიდგომა აქვს. ადამიანში ამ თვისებების — აზრების ზუსტად ჩამოყალიბებისა და ამასთანავე მასშტაბური აზროვნების ასეთი შეხამება ყოველთვის ძალიან სასარგებლოა. მე უკვე ვილაპარაკე ამაზე, დავახასიათე იგი ასე, როცა ვასახელებდით კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

რით მომეწონა სერგი სერგის ძის აზრი. ჩვენ ისეთ გარდამტეხ ეტაპზე ვართ, ისეთ მოვლენებში ვართ ჩაბმული, რომ ჯერ არ ძალგვიძს მთლიანად შევაფასოთ ის, რასაც ვაკეთებთ და როგორი შედეგები ექნება ამას. ჩვენი დრამა ის არის, რომ მძიმედ გვაწევს მიმდინარე პრობლემების ტვირთი, გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ჩვენ ბევრი რამე გავუშვით ხელიდან და გავართულეთ სიტუაცია. ყველაფერი ეს არის, მაგრამ ამან თავგზა არ უნდა აგვიბნიოს. ჩვენ უნდა გვეყოს „სიმაღლე", რომლიდანაც უნდა შევაცქეროდეთ ამ პროცესს. მიმდინარეობს შემობრუნება მსოფლიო ცივილიზაციისაკენ, განახლებითი პროცესები სოციალისტურ სამყაროში. ჩვენ, როგორც ამხანაგმა შატალინმა თქვა, ჯერ კიდევ ბევრ რამეში უნდა გავერკვეთ და შევიგნოთ. ვსახავთ სწორ ორიენტირებს პერსპექტივისათვის, მაგრამ საჭიროა არ გადავცდეთ ტაქტიკაში, არ წავეჩხუბოთ ერთმანეთს. და, რა თქმა უნდა, არ ავურ-დაფრიოთ ყველაფერი.

თუ ჩვენ ყოველთვის ასეთი სიმაღლიდან შევაფასებთ მოვლენებს, ეს იქნება ერთი მიდგომა, ხოლო თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მოსაზრებებით, რადგანად მეზება იგი პირადად მე და საერთოდ რა მოველის ხვალ... მე პოლიტბიუროზე ყოველთვის ასე ვამბობ: იცით, დღეს ჩვენ წინაშე დგას ასეთი საკითხი, მოდით დავვიწყოთ ჩვენი დღევანდელი თანამდებობები და რა მოგველის ხვალ, რადგან საქმე ეხება ქვეყანას, მისი განვითარების ორიენტირებს.

ჩვენ ჯერ არ გვყოფნის ეს სიმაღლე. ბევრია ადამიანი, რომლებსაც სურთ მარტივი გადაწყვეტილებანი, ისინი კი არ არის. ჩვენ ისეთ ეტაპზე ვართ, როცა მარტივი გადაწყვეტილებანი არ არის და არც იქნება. შეიძლება ვაპატიოთ რიგიერ, გამოუცდელ კაცს, როცა გვთხოვს, მომეცით მკაფიო პასუხი, ჩამოწერეთ პუნქტებად: ერთი, ორი, სამი, ოთხ. ამით, სხვათა შორის ყველა პოპულისტი სპეკულანტობს. მმართველი პარტია, და ისიც ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, ამ გზას ვერ დაადგება. ჩვენ ფართოდ უნდა ვხედავდეთ მსოფლიოს, ქვეყანას, მის დღევანდელ სიტუაციასა და პერსპექტივას.

ჩემი აზრით, მთავარში ჯერ არ შევმცდარვართ. მაგრამ დავუშვით შეცდომები საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში, დავაგვიანეთ ისინი ან ვერ უზრუნველეყოფით პროცესების სინქრონიზაცია, განსაკუთრებით ეკონომიკურ რეფორმაში. ამან გაართულა ჩვენი საქმეები, ძლიერ გვირტყამს პოლიტიკურად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პანიკას უნდა მივეცეთ და გავკიოდეთ: „გვიშველეთო"!: ერთი ამბობს — „აყვავებული სახელმწიფო დაასამარესო", მეორე — „კიდევ რაღაცა ამბაობ!. თუმცა მერე ირწმუნებიან, გარდაქმნას ვემხრობით, პანიკიორები კი არა ვართო. პანიკიორები! ეს მარცხმოსურნეობითი განწყობილებანია.

დიდი პლენუმი გაიმართა, შედეგები დიდია. მაგრამ ყოველივე ეს ნაყოფს მაშინ მოიტანს, თუ პლატფორმის ბაზაზე პარტიაში ზეგბამთ მთელ ჯანსაღ, გარდამქმნელ ძალებს, გაბედულად გავუკაფავთ გზას პლატფორმაში ჩამოყალიბებულ ჩვენს პოლიტიკურ დებულებებს, გეგმებს. მინდა გამოვთქვა რწმენა და ვიმედოვნებ, რომ მხარს დამიჭერთ: ჩვენ ახლა უკეთ გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა და უკეთ ვართ შეიარაღებული საიმისოდ, რომ მტკიცედ წავწიოთ წინ ჩვენი საერთო საქმე, გარდაქმნის საქმე, სოციალისტური საზოგადოების განაზლების საქმე!

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

8 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებთან, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებთან, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

გაიმართა გაცხოველებული ანალიზი, ... ფერი უნდა ვიღონ ... ძლიოთ ბზარი, ... ის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მის ძირეულ რგოლებს, კომუნისტთა ფართო მასებს შორის გაჩნდა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ნ. ნ. სლიუნკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი და ი. ა. მანაენკოვი.

შეხვედრის დაწვრილებითი ანგარიში გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდება. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა

სკკპ ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ 7 თებერვალს გამართულ სხდომაზე განიხილა კომისიის 1989 წლის მუშაობის შედეგები და მისი 1990 წლის ამოცანები.

სხდომის გახსნისას სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ა. ნიზოვცევამ აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის თებერვლის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდა პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში. პლენუმის გადაწყვეტილებებს დაეფუძნება კომისიის შემდგომი მუშაობაც.

1989 წელს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაციაში აღინიშნა, რომ იგი მიზნად ისახავდა კომისიის 1988 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას სარევიზიო მუშაობაში გარდაქმნის პროცესების გააქტიურებისა და გაღრმავების, პარტიაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, სარევიზიო მუშაობის საჯაროობის გაფართოების შესახებ. აღინიშნა, რომ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის, ... ბის, ...

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1990 წლის 7 თებერვალს

ახლა უნდა მოვითავოთ საკითხი, რომლის განხილვა დავიწყეთ დეკემბერში ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე და შევწყვიტეთ, რათა მის განხილვას დავბრუნებოდით ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლიტვის სს რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ. ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ საკითხზე.

მოკლედ ვილაპარაკე, რადგან მუშაობა, რომელიც ხორციელდებოდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დავალებით, პრესამ გაამუქა. ჩვენ კი დღეს უნდა დავამთავროთ საკითხის განხილვა, რომელიც წამოიჭრა ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მაშინ, როგორც გახსოვთ, ჩვენთან ეს მწვავე სჯა-ბაასი გაიმართა ამ საკითხზე, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება და პრინციპული შეფასებანი. უნდა შეგახსენოთ კიდევ ერთხელ დასკვნა, რომელიც გამოვიტანეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სახელდობრ — ორგანიზაციულ-საწესდებო პოზიციებიდან ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი არამართლზომიერია, გასცდა რესპუბლიკის საშინაო ცხოვრების ფარგლებს, მთელი ჩვენი პარტიის ინტერესებს შეეხო და საფრთხე შეუქმნა მის ერთიანობას.

და მაინც საბოლოო დასკვნები არ გამოგვიტანია, და ვფიქრობ სწორადაც მოვიქეცით. გადაწყვიტეთ მაშინ პლენუმის მონაწილეთა ჯგუფი გაგვეგზავნა რესპუბლიკაში, რათა ადგილზე და კომუნისტებთან, მშრომელებთან შეხვედრების დროს კიდევ ერთხელ განგვეხილა საკითხთა მთელი კომპლექსი. ასეთი მუშაობა გავწიეთ, რესპუბლიკაში ჩემთან ერთად იყვნენ ამხანაგები მედვედევი, მასლიუკოვი, ფროლოვი, ველიხოვი, გრიგორიევი, კოლესნიკოვი, კუპცოვი, იაგოდინი, ულიანოვი, ჭარიმოვი და ოლეინიკი.

ჩვენ ვიყავით რესპუბლიკის 15 რაიონსა და ქალაქში, შევხვედით კომუნისტებს, ვეტერანებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, სამხედრო მოსამსახურეებს, ორმოცზე მეტი საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივების წარმომადგენლებს. გაიმართა რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრება. საერთოდ, შეიძლება ითქვას, გაიმართა მეტად დიდი, საფუძვლიანი, გულახდილი დიალოგი მთელ ლიტვასთან, რადგან ყველაფერს, რაც ხდებოდა აუდიტორიებში, შეხვედრებზე, ქუჩებშიც კი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით ეცნობოდა მთელი რესპუბლიკა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ რა ატმოსფეროში მიმდინარეობდა ჩვენი შეხვედრები და დისკუსიები. მათში ბევრი რამ იყო ურთიერთსაწინააღმდეგო. ამავე დროს ვგრძნობდით გულწრფელ კეთილმოსურნეობას, დაინტერესებას, განსაკუთრებით დაუგეგმავი შეხვედრების დროს, როცა შრომითს კოლექტივებში მივდიოდით. ჩვენი ურთიერთობა სულაც არ ჰგავდა „შეზობელი ქვეყნის პრეზიდენტთან მოლაპარაკებას“, რისთვისაც წინა დღით „საიუდისის“ ხელმძღვანელობა მოუწოდებდა რესპუბლიკის მოსახლეობას.

მომდინარეობდა გულახდილი პირდაპირი საუბარი ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე. არ გვიგრძნია უპატივცემულობა სხვა რესპუბლიკების, ხალხების, საერთოდ ქვეყნის, კავშირისადმი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ დროდადრო ძნელი მოსასმენი იყო კრიტიკული შენიშვნები, მკაცრი შენიშვნები. ერთი სიტყვით, ყოველივე ამან მოგვცა საშუალება უფრო ღრმად ჩავწვდომოდით მიმდინარე პროცესებს, უფრო სრულად წარმოგვედგინა ადამიანების განწყობილება.

აზრთა უალრესად ფართო და გულახდილი გაბიარება მოწმობს, რომ რესპუბლიკაში ადამიანთა უმრავლესობა გარდაქმნის პოზიციებზე დგას. მაგრამ ლიტვის საზოგადოების სხვადასხვა ძალა ამ ცნებას სხვა აზრს ანიჭებს, სხვა მიზნებს ისახავს.

რელეფურად გამოიკვეთა ერთი ნაწილის მისწრაფება, გარდაქმნა წარმართოს განკერძოებული გზით, კავშირიდან რესპუბლიკის გამოსვლასაც კი მოითხოვს. თუმცა ეს ნაწილი, ასე ვთქვათ, ეს ფრთა, კავშირთან ურთიერთობის მომხრეა. ასევე რელეფურად გამოიკვეთა სხვების მოსაზრება, რომ განახლების ამოცანები უნდა გადაიჭრას ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომუნისტთა საერთო ძალებით განახლებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საკავშირო ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ამ, ზოგჯერ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციების გათვალისწინებით იყო აღქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დასკვნებიც. ერთი მხრივ, არის ცდები განმარტონ ისინი, როგორც მოსკოვის მხრივ კონსერვატიზმის გამოვლინება. მეორე მხრივ, ლიტვის კომპარტიის დიდმა ნაწილმა, რესპუბლიკის მშრომელებმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებში დაინახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მისწრაფება მიაღწიოს განახლებას, დიალოგს ყველასთან, ვინც პროგრესული გარდაქმნის მომხრეა.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ამჟამად რესპუბლიკაში ჰარბობს სეპარატისტული განწყობილება. ლიტვის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთგვარი ეროვნული ეიფორიის მდგომარეობაშია, ისეთ მდგომარეობაში, როცა არგუმენტებსაც კი არ იღებენ ყურად, იგრძნობა ერთგვარი გაღიზიანება, რადგან ბევრი სპეკულაციაა ამ თემაზე, ეროვნულ გრძნობებს რომ ამწვავებს. ლიტვაში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა მოგზაურობამ, სხვადასხვა დონეზე შეხვედრებმა და საუბრებმა ცხადყო: რესპუბლიკაში მომძლავრებული ნეგატიური ტენდენციების სათავე უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ინერგებოდა სახელმწიფოს მრავალმხრივ ხელოვნური უნიტარული სისტემა, არ არსებობდა ნამდვილი ფედერალიზმი. ესეც რალაობა... სოციალიზმის ცალიერი დეფორმაციის მანკიერებებმა შექმნა მასაზრდოებელი გარემო, რომელშიც ხარობდა ცენტრისადმი უნდობლობის თესლი, განკერძოებულობის სურვილი. აქ ვერც ვერაფერს დაუმატებ, ვერც ვერაფერს დააკლებ.

ამავე დროს, როგორც უკვე ვთქვი, მიზანმიმართულად, აქცენტირებულად ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი, ექცევა იგი ემოციების კალაპოტში, როცა აქტიურ ექსპლოატაციას უწევენ ეროვნულ გრძნობებს. განკერძოების სასარგებლო არგუმენტაცია, როგორც წესი, ზოგადი ხასიათისაა— ბევრია ეპითეტი, მეტაფორა და ა. შ. ამავე დროს ვიგრძენით, რომ ხალხს არავინ ელაპარაკება გულახდილად — რას ნიშნავს დღეს ურთიერთობა კავშირთან, რა ბედი ეწევა რესპუბლიკას, ხალხს, თუ დაიწყება ამ ურთიერთობის რღვევა. რა შედეგს მოუტანს ეს ლიტვას და კავშირს. ამას თავს არიდებენ.

ვფიქრობ, ეს დასკვნა ჩვენთვისაც საგულისხმოა, ჩვენ ბევრი არგუმენტი გვაქვს. საჭირო იყო უბრალოდ გამოგვეკვეთებინა სტატისტიკა, რომ ყველას დაენახა საქმის არსი. უნდა მოგახსენოთ, რომ პროფესორებმა და აკადემიკოსებმა, რომელთა ნაწილს ვიცნობ, სხვები კი იქ გავიცანი, ვერაფერი დამაჯერებელი ვერ გვითხრეს ვერც ჩვენ, ვერც ლიტვის საზოგადოებრიობას. მათი არგუმენტაცია, ძირითადად, განისაზღვრება სტერეოტიპების ჩამოთვლით. თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ვეფასება ცვლილებათა არასაკმარისი დინამიკა აფერხებს რესპუბლიკის განახლების პროცესს. ლიტვაში გარდაქმნითი პროცესების არსი ერთი რამით განიზღვრება — ეროვნული განკერძოების აუცილებლობით, სსრ კავშირის შემადგენლობიდან რესპუბლიკის გამოსვლით.

ასეთი განწყობილება დაეუფლა კომპარტიასაც. დიახ, პირდაპირ ვიტყვი — ეს საკითხი შეაჩიჩეს საზოგადოებას, პარტიასაც. ამასთან ამს ზვრებიან ისინი, ვინც დაკავშირებულია უწინდელ ბურჟუაზიულ ლიტვასთან, დაკავშირებულია იმით, რომ ახსოვს მაშინ როგორი ეკონომიკური პოზიციები და პოლიტიკური მდგომარეობა ეკავათ. ასპარეზზე გამოვიდნენ ადამიანები, რომელთა მამა-პაპანი, ვერ იტყვი, რომ პროგრესულ ძალებთან თანამშრომლობდნენ. დღეს სწორედ მათ იგდეს ხელი ინიციატივა.

ლიტვაში გვეუბნებოდნენ, ყრილობის გადაწყვეტილებებმა პარტიის უმადლესთან ბალალი რეიტინგი უზრუნველყვესო. იქნებ, მართლაც ასე იყოს. ამავე დროს ადგილზე სიტუაციის გაკნობამ ცხადყო, რომ პოპულარობა მიღწეულია არა პრინციპული პოზიციების დაცვის გზით, არამედ მათგან გადახვევის, სეპარატისტული განწყობილებებისადმი შეგუების, ნაციონალისტური ძალების მოთაფვლის შედეგად. ამის შედეგი იყო კომპარტიის რეალური გათიშვაც, მისი ორი ფრთის გაფორმება. შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობა კვლავინდებურად ანგარიშს არ უწევს, თუ რა საშიშ კურსს ადგას. ბევრ პროცესს იგი უყურებს, ასე ვთქვათ, ამ მომენტში მზარდი პოლიტიკური ბრძოლის, რესპუბლიკის ფარგლებში გაჩაღებული ვნებათაღელვის პოზიციებიდან. საშიშროება არის, ამას შეიძლება დავეთანხმოთ. მაგრამ ეს მაინც ჯერ კიდევ ყველაფერი ხომ არ არის კომპარტიისათვის, მისი პოლიტიკის, სტრატეგიის, ტაქტიკისათვის. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ აქ ყველაფერი აწონ-დაწონილი და მოფიქრებული არ უნდა იყოს.

ჩვენი იქ ყოფნის დღეებში მუდამ ვგრძნობდით, რომ სურთ გვიჩვენონ: გადაწყვიტეს ასე, და სხვა მიდგომა არც შეიძლება იყოს. ამხანაგი ბრაზაუსკასი და სხვა ამხანაგები იმასაც კი შიშობდნენ, ვაითუ ჩვენს შეხვედრებზე გამოთქმული საღი დასკვნების გავლენით საეკვო გახდესო კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა სისწორე. ვფიქრობ, ჩვენს ამხანაგებს ლიტვის კომპარტიიდან ერთხელ კიდევ მეგობრულად უნდა შევახსენოთ ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა გარდაქმნის ბედისათვის, ჩვენი ყველა ხალხის ფედერაციისათვის. ეს ეხება ყველა ხალხს, რადგან ლიტვის ტერიტორიაზე ცხოვრობს სხვა ხალხების ბევრი წარმომადგენელი. იგი ჩვენი სახელმწიფოს ნაწილია. ჩვენ უნდა ვუთხიოთ ამხანაგებს დაძლიონ თავიანთი კურსის სისუსტენი, რომელმაც ისინი ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებამდე მიიყვანა.

იმ საკითხთა დღევანდელი, გუშინდელი და გუშინწინდელი განხილვა, რომლებიც სკკპ XXVIII ყრილობისათვის მზადებასთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის შემუშავებასთან არის დაკავშირებული, გარდაქმნის, უახლოესი პერსპექტივისათვის, ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებებს რომ ეხება, ლიტვის კომპარტიის ორივე ნაწილის წარმომადგენელ ამხანაგებს აძლევენ სწორედ საშუალებას დაინახონ, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი აქვს იმას, რომ გაუჭარწყლონ ყოველგვარი შეშფოთება ლიტვის კომუნისტებსა და მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, საბჭოთა ფედერაციაში ღრმა ცვლილებების შესახებ.

უფრო მეტიც, ვიგრძენით, რომ ისინი ყრილობაზე გამოვიდნენ განწყობილებები შეაკორბილი და სიტუაციის ზეგავლენით. იყო დრო განსჯისათვის, და ახლა, ჩემი აზრით, მათ შეგნებულად შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა, რაზეც წინა პლენუმზე და ლიტვაში ჩემი ყოფნის დროს ვილაპარაკეთ: ღრმა ცვლილებები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს გარდაქმნის პოლიტიკის რეალიზაციით, ფედერაციისა და თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლებით. განვლილ პერიოდში გავხდით ახალი ფაქტების მოწმენი — მხედველობაში მაქვს ამბები აზერბაიჯანსა და სომხეთში, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რამდენად სწორია, ერთი მხრივ, ვიცავდეთ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულობის განმტკიცების გზს, მეორე მხრივ — სისხლსავსე ფედერაციის კურსს. სხვაგვარი მიდგომა, ვამბობდით ყოველთვის, განუჭვრეტელ შედეგებს გამოიწვევს. ახლა, ვფიქრობ, შეიძლება უკვე ვილაპარაკოთ განჭვრეტილ შედეგებზე. ის, რაც მოხდა, მოწმობს — ეს საშიში გზაა.

ჩვენ იოლად ვერ წავალთ, თუ გარკვეულად არ შევაფასეთ ის, რომ ამას წინათ გამართულმა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მისცა წინადადება შეეფასებინა ლიტვის კომპარტიის პროგრამა და სტატუტი, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარდაქმნის მოდელი, რომელიც უნდა განვიხილოთ პარტიის XXVIII ყრილობაზე. მინდა ბოლომდე ობიექტური ვიყო — ეს მოწმობს, რომ ჩვენი ამხანაგები ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობაში მაინც ფიქრობენ ამაზე. თუ ამ მიმართულებით ნაბიჯები კვლავ გადაიდგმება, ვიტყვი, რომ ისინი სწორი მიმართულებითაა გადადგმული. განცხადებაში არის რაციონალური მარცვალი. იგი, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ლიტვის კომპარტიის დოკუმენტები უნდა განვიხილოთ, როგორც მოდელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის, არამედ ის, რომ ლიტველი კომუნისტები არ ემიჯნებიან პარტიის XXVIII ყრილობას, მაშასადამე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. გთავაზობთ თანამშრომლობის ჩემს, მართალია, მეტად უჩვეულო ფორმას.

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტი და, მით უმეტეს ყრილობა მზად იქნებიან განიხილონ ყოველი წინადადება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ მთლიანად მივიღებთ, ასე ვთქვათ, ფარ-ხმალს დავყრით მათ წინაშე. არა, ჩვენ მზად ვართ ისინი განვიხილოთ.

ვფიქრობ, ყველა ამხანაგი, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ, დამემოწმება: დავრწმუნდით, რომ პარტიულ, საბჭოთა, განსაკუთრებით სამეურნეო ხელმძღვანელებს, აგრეთვე შემოქმედებითს ინტელიგენციას შორის კვლავინდებურად საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებსაც მორალური ზეგავლენის ვითარებაშიც კი არ დაუკარგავთ პასუხისმგებლობის გრძნობა, მტკიცედ დგანან ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე. იქ ჩვენ ბევრს ვესაუბრეთ, ჩვენთან ერთად იყვნენ მთელ მოგზაურობაში ამხანაგი ბრაზაუსკასი და ამხანაგი ბუროკაევიჩიუსი. შევხვედით სკკპ პლატფორმაზე მდგომ დროებით ცენტრალურ კომიტეტსაც. თუ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკეთ მათ პოზიციაზე, ამხანაგებიც დამოუკიდებელი კომპარტიის მომხრენი არიან, მაგრამ განახლებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფარგლებში, ესე იგი მხარს უჭერენ იმას, რაც დღეს შეადგენს XXVIII ყრილობისათვის პლატფორმის ცნობილ დებულებებში ჩამოყალიბებულ უკვე ჩვენს პოზიციას. ისინი მხარს უჭერენ პარტიის და ფედერაციის განახლებას, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას, დემოკრატიზაციას, იმის მომხრენი არიან, რომ საზოგადოებასა და ეროვნებათშორის უთანხმოებათა თავიდან ააცილონ წარსულის ყველა ნეგატიური მოვლენა. ეს უნდა ითქვას, რათა დავინახოთ, რომ ეს გუშინდელი პოზიცია ჯერ არ არის, როგორც ზოგ-ზოგებს სურთ წარმოადგინონ, არამედ გარდაქმნის პროცესების კალაპოტით მიმდინარე პერსპექტივაა. რაც უფრო მეტი ადამიანი გაერკვევა იმაში, თუ რა შეიძლება მოპყვეს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას, მით უფრო მეტი მომხრე ეყოლება ლიტვის კომუნისტთა ამ ნაწილს. უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე მდგომი კომპარტიის პოზიციას იზიარებს მუშათა კლასის ბევრი მხსნელი ინტერნაციონალური კოლექტივი.

საჭიროდ მიმაჩნია, თუნდაც მოკლედ გამოვხატო ჩვენი დამოკიდებულება ამისადმი, რადგან მოსული ინფორმაცია ადასტურებს, რომ ცდილობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე მდგომი ლიტვის კომპარტია გამორიცხონ რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, მუქარაც კი გაისმის, რომ მას კანონგარეშე გამოაცხადებენ. ასე რომ, ამ ამხანაგებს იქ უჭირთ. ისინი ძირეულ, სახალხო ინტერესებს იცავენ იმ პრინციპული გზის საფუძველზე, რომელსაც ერთადერთს შეუძლია გაგვიყვანოს ფართო გზაზე. და ამის გამო მათ ლამის მოღალატეებად აცხადებენ.

ამიტომ, როდესაც ლიტვის კომპარტიასა და მის ხელმძღვანელობას, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, ვთავაზობთ ერთად ვიფიქროთ, ვეძებოთ სიტუაციიდან გამოსავალი, ვფიქრობ, ჩვენ ამასთანავე მხარდაჭერა არ უნდა მოვაკლოთ ამხანაგებს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან კავშირის პოზიციებზე დარჩნენ.

ამავე დროს მე ვუბრუნდები ამოსავალ თეზისს, რომელიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ. გამოვიჩინოთ ნებისყოფის, პატიოსანებმა, ყურადღების მაქსიმუმი, ვინაიდან ეს ახლა ყველას გვმართებს. ჩვენ შეეცადეთ დაგვეცხრო ვნებათაღელვა, ჩავედით ლიტვაში, შევხვედით ადამიანებს, ეს სწორი ღონისძიება იყო. მუხედადად ამისა, ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილება დამოუკიდებელი კომპარტიის შექმნის შესახებ — ეს არის ნაბიჯი, რომლის მიზანია გაწყვეტოს ორგანიზაციული და პოლიტიკური კავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის პოვნის შესაძლო გზები, იქიდან გამომდინარე, რომ ეს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილია, და იქ ცხოვრობენ ჩვენიანები, სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანები. იქიდან გამომდინარე, რომ არა მარტო დროებითი ცენტრალური კომიტეტის, არამედ აგრეთვე ლიტვის კომპარტიის მხრივაც მოგვდის განცხადებები ერთობლივი ძალისხმევის შესახებ.

ყველა საფუძველი გვაქვს სიმისოდ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გააუქმოს ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის დადგენილება ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სკკპ პროგრამასა და წესდებას, ანდა გამოხატოს პოლიტიკური დამოკიდებულება გამოცხადებული დამოუკიდებელი პარტიისადმი, როგორც სკკპ-საგან გამოყოფილი პარტიისადმი, მაგრამ ასეთი მიდგომა უკავშირდება ბევრ ისეთ შედეგს, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ნეგატიური იქნება როგორც პარტიის, ისე მთლიანად საზოგადოების ცხოვრებისათვის. ამასთანავე გარდაუვალი კონფრონტაცია კიდევ უფრო მეტად გააღრმავებდა განზეთქილებას და გაამწვავებდა რესპუბლიკებს შორის ეროვნულ ურთიერთობას. ჩვენი აზრით, ჯერჯერობით არ ამოგგწურია შესაძლებლობანი — მე ხაზს ვუსვამ, ამხანაგებო, — შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის ძებნისა და დიალოგის შესაძლებლობანი. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვგწყვება რადიკალური გარდაქმნისა და თვით პარტიის პოლიტიკური პლატფორმის ბაზაზე განხლების პასუხსაგები ფაზა, ვემზადებით პარტიის მოახლოებული XXVIII ყრილობისათვის.

წაკითხულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტი ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ. პირველი. მოისმინა რა ლიტვის სს რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილეთა ჯგუფის მოგზაურობის შედეგები, პლენუმი აღნიშნავს, რომ მოგზაურობის დროს გამართული შეხვედრები ლიტვის მშრომელებთან, გულახდილი აზრთა გაზიარება, შემოსული მრავალი წერილისა და დეპეშის ხასიათი მოწმობს, რომ რესპუბლიკაში მხარს უჭერენ გარდაქმნის პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ატარებს.

მეორე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ითვალისწინებს, რომ ლიტვის კომპარტიის XX ყრილობა მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფარგლებში და მის დელეგატებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება გადაწყვიტათ სკკპ შემადგენლობიდან ლიტვის კომპარტიის გასვლის საკითხი, სკკპ XXVIII ყრილობამდე აჩერებს ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის რეზოლუციის მოქმედებას იმ ნაწილში, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს ლიტვის კომპარტიის ორგანიზაციისათვის სკკპ პროგრამა და წესდება, აგრეთვე ლიტვის კომპარტიის სტატუტის ან წესდების მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც ეხება პარტიის წევრობას (სტატუტში ნათქვამია, რომ ისინი არიან ლიტვის კომპარტიის და არა სკკპ წევრები). ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გამოთქმულ მოსაზრებათა შესაბამისად, რომლებიც მე ვახსენე, განვიხილოთ ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის დოკუმენტები, პროგრამა და სტატუტი, როგორც წინადადებანი პარტიის XXVIII ყრილობისათვის. მხარი დავუჭიროთ მუშაობაში ლიტვის კომპარტიის დრობითს (სკკპ-პლატფორმიან) ცენტრალურ კომიტეტს, მივიღოთ ზომები მისი საქმიანობის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ლიტვის კომპარტიის დროებითს (სკკპ-პლატფორმაზე) ცენტრალურ კომიტეტს, მოაწყონ სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნები რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისგან იმ წესის შესაბამისად, რომელსაც დაადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტი.

მესამე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ავალებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საყვირლობო დისკუსიისათვის პლენუმზე მოწონებული პოლიტიკური პლატფორმის, პარტიის სხვა დოკუმენტების საფუძველზე განაგრძონ მუშაობა რესპუბლიკების კომუნისტებისა და პარტიული ორგანიზაციების პოზიციათა დასაახლოებლად ლიტვის სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს იმედს, რომ ლიტვის კომუნისტები გულწრფელად ერთგულობენ სოციალისტურ იდეალებსა და გარდაქმნის მიზნებს, შეგნებული აქვთ თავიანთი ისტორიული პასუხისმგებლობა, არ დაუშვებენ ლიტველი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაკარგვას, შემატებენ თავიანთ წვლილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლებას, ჩვენი ხალხების თავისუფალი ნებაყოფლობითი კავშირის განმტკიცებას ჯანსაღ და მკვიდრ საფუძველზე.

ასეთი მიდგომის პირობებში დაიშვება XXVIII ყრილობამდე კომპარტიის ორი ხელმძღვანელი ორგანოს — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლიტვის კომპარტიის დროებითი (სკკპ პლატფორმაზე) ცენტრალური კომიტეტის ფუნქციონირება.

შემოთავაზებული. გადაწყვეტილება, თუ მას მივიღებთ, შესაძლებლობას მისცემს რესპუბლიკის კომუნისტებს, მთელ კომპარტიას მიიღოს მონაწილეობა XXVIII ყრილობის მუშაობაში, წარმოგზავნოს აქ თავისი წარმომადგენლები. ლიტვის კომპარტიის ორივე ხელმძღვანელი ორგანო, როგორც უკვე, ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით შესაბამისი წესით მოაწყობდა ყრილობის დელეგატთა არჩევნებს.

მაშასადამე, ლიტვის ყველა კომუნისტს, მეტადრე იმათ, ვინც დღეს გზაჯვარედინზე დგას, შეეცემა შესაძლებლობა საყრილობო დოკუმენტების საფუძველზე ერთხელ კიდევ აწონ-დაწონოს თავისი დამოკიდებულება სკკპ წევრობისადმი, ლიტვის კომპარტიის შემდგომი ბედ-იღბლისადმი, მოახდინოს თავისი არჩევანი.

საერთოდ, ჩვენ კარს ღიას ვტოვებთ იმ იმედით, რომ ლიტველი ამხანაგები ისარგებლებენ ასეთი შესაძლებლობით, რათა ერთად ვეძებთ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ეს, რა თქმა უნდა, დიდად იქნება დამოკიდებული მათზე და ამასთანავე მნიშვნელოვანწილად — ჩვენზეც.

ჩვენ კვლავინდებურად იმით ვხელმძღვანელობთ, რომ იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომლებმაც ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები გამოიწვიეს, უნდა ვეძებთო არა გარდაქმნის კურსიდან ოლქის კორშუნოვის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის ექსკავატორის შემანქანა **ა. პ. მიასნიკოვის** მოწოდება. ჩვენ მივუახლოვდით გარდაქმნის ისეთ მიჯნას, თქვა მან, როცა მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში მომხდარ მოვლენათა გათვალისწინებით დროა პირდაპირ და არაორჭოფულად დავსვათ ჩვენი პარტიის შემდგომი ბედის, მთლიანად სოციალისტური არჩევნის საკითხი.

საზოგადოების განახლების პროცესი მიმდინარეობს მტკივნეულად, თან სდევს ეკონომიკაში დამანგრეველ დესტრუქციულ მოვლენათა ზრდა. გროდდება სოციალური აფეთქების ენერგია, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მდგომარეობას ართულებს ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ესკალაცია. შეიქმნა გაუგებარი პარადოქსული სიტუაცია: ერთი მხრივ პროპაგანდისტული ბუმი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის გარშემო, მეორე მხრივ, — სამართლებრივი უმწეობა, სახელმწიფო ორგანოების უუნარობა დაიცვან სახელმწიფოსა და პიროვნების ელემენტარული ინტერესები.

რთული და წინააღმდეგობრივი უწოდა მუშამ თვით პარტიაში შექმნილ ვითარებას. ბევრ პარტიულ ორგანიზაციას არ ძალუძს სათავეში ჩაუდგეს გარდაქმნის მიმდინარეობას წარმოებისა და სულიერი აღზრდის უმნიშვნელოვანეს უბნებზე, ისინი თანდათანობით ჩამორჩებიან საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. ადგილობრივი პარტიული ორგანოების კრიტიკის სამართლიანობის აღიარებასთან ერთად უდაო ნიშნად, რომ ცენტრალური კომიტეტიც, მისი პოლიტბიუროს და აპარატიც ყოველდღიან მოვლენათა შეფასებაში, გაუბედაობას იჩენენ ქვეყანასა და პარტიაში ვითარების სტაბილიზაციის პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

ანგარიში, რომელიც ხალხმა წაუყენა პარტიას, ბევრ რამეში სამართლიანია. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ თვითგვემის პროცესი პარტიაში მასობრივი

(გაგრძელება 3ე-ს გვ.).

გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ხალხი მმართველ პარტიას უყენებს ანგარიშს არა მარტო წარსულისათვის, არამედ გარდაქმნის შეცდომებისთვისაც, ეკონომიკასა და ფინანსურ სფეროში კრიზისული მოვლენების და დეფიციტებისათვის, თითქმის ლეგალური უშრომელი შემოსავლისათვის, თითქმის დაუსჯელი დამნაშავეობისა და თითქმის ყველგან დისციპლინის დაქვეითებისათვის, კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხორციელებლობისათვის. ეს განაცხადა სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ფ. კადოჩნიკოვმა.**

მე სრულიადაც არ ვძაბავ ვინმეს გაწყობილებას, — თქვა მან. უთუოდ, გარდაქმნას არა აქვს გონივრული ალტერნატივა, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ გვაქვს, გარდა რეფორმის დაჩქარებისა. წინსვლის შემაფერხებელი ფაქტორები კი არის არათანამიმდევრულობა და ნახევრულობა გარდაქმნათა განხორციელებაში, ის, რომ მთელი რიგი მიმართულებებით არ გვაქვს ფუძემდებელი ნამუშევრები და მათი რეალიზაციის მტკიცე გადაწყვეტილება, აშკარად ვაგვიანებთ ადგილებზე საბჭოების ხელისუფლების განმტკიცებას, მათ უფლებამოსილებათა საკანონმდებლო გაფართოებას, მათი სტრუქტურების განახლებას.

ილაპარაკა რა სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაზე, ორატორმა აღნიშნა, რომ აქაც არ იგრძნობა შესამჩნევი წინსვლა. მრავალმა თათბირმა, სემინარმა, ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ვერ გაამართალა იმედები. სამწუხაროდ, პლატფორმის პროექტშიც წამოყენებულია გადამუშავებისა და შენახვის მატერიალური ბაზის განმტკიცების ამოცანა, რომელიც ოცი წლის წინაც იდგა. იგი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ სუფრები და დახლები ალბათ არ გაუხვდება, სანამ არ გვექნება კარდინალურ მიმართულებათა სისწორის რწმენა, სანამ არ არის დაძლეული მიწისაგან გლეხის გაუცხოება. სოფლის მეურნეობასა და აგრარულ სექტორში დღევანდელი მდგომარეობისთვის, როგორც ჩანს, უნდა მოვკითხოთ არა მარტო ადგილებზე პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, არამედ იმათაც, ვისაც მინდობილი აქვს ეს საქმე.

ორატორი დაეთანხმა იმათ გამონათქვამებს, ვინც აღნიშნა, რომ პარტიამ დაკარგა ავანგარდული პოზიციები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დამკვიდრებულია კონსტიტუციაში, დეკლარირებულია პარტიულ დოკუმენტებში. ადამიანებს სურთ ხედავდნენ არა კანონით დამკვიდრებულ, არამედ მათ მიერ აღიარებულ ხელმძღვანელ როლს პარტიისას, ხაზგასმით აღნიშნა მან. კომუნისტები და უპარტიოები ჩავარდნებს უკავშირებენ პოლიტბიუროში, ადგილებზე კონკრეტულ გვარებს, ასახელებენ ლიგა

გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(გაგრძელება)

ინფორმაციის საშუალებათა დახმარებით ისეთ დონემდე მივიდა, რომ ხშირად ეს ორგანიზაციულ და იდეურ განიარაღებას ჰგავს. მიმდინარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის, ოქტომბრის რევოლუციის შედეგების რევიზია. პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონში კი არ იგრძნობა, რომ ეროვნად რეაგირებდნენ ამაზე.

პარტიის ხელმძღვანელობა ძველებურად უდგება თავისი საქმიანობის შეფასებას. არის ალბათ, შეცდომებიც და ხარვეზებიც. მაგრამ მაშინ რატომ არის, რომ პოლიტბიუროს სხდომებზე მისი წევრების მიმართ ვიცით მხოლოდ ერთი ფორმულირება: „მოწონებულ იქნეს“?

ორატორმა დაასახელა ყველაზე პრინციპული მომენტები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის ჩამოყალიბებისას. ჯერ ერთი, პლატფორმა უნდა შეიცავდეს პარტიის მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცების გარანტიას მისი ერთიანობის შენარჩუნების პირობებში. კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ პარტიაში ფრაქციულობის დაკანონების, პარტიული რიგების გათიშვისათვის მისი გამოყენების ცდებს. დიდი ხანია მომწიფდა იმ სკკპ წევრებისგან იდეური და ორგანიზაციული გამჯნის საკითხი, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით ფაქტობრივად წესდების ფარგლებს გარეშე დაყენეს თავი. პარტიის გათიშვას თავიდან აცილების საიმედო გარანტია შეიძლება გახდეს დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური კონცეფციის აღორძინება, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა უმრავლესობის უზენაესობას, უფარფოეს დემოკრატიასა და საჯაროობას, აზრის გამოთქმის სრულ თავისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ — ზუსტად განსაზღვრავდა უმცირესობის გარანტიებსა და უფლებებს.

მეორე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული განაღლებული პარტიის ადგილი და როლი საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში. საგნებს თუ რეალურად შევხედავთ, ჩვენ მივალთ მე-6 მუხლის გადასინჯვამდეც და მრავალპარტიულობამდეც. საკითხი ეს არის, როდის მოხდება ეს. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანა ჯერ არ არის მზად მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლისათვის. ეს მკვეთრად გაამწვავებდა საზოგადოებაში სოციალურ დაძაბულობას, ძალაუფლებისათვის ბრძოლას.

მესამე, უნდა უზრუნველვყოთ პარტიული მასების უზენაესობა არჩევით ორგანოებთან და აპარატთან შედარებით: მივცეთ შესაძლებლობა ყოველ კომუნისტს აქტიურ გავლენას ახდენდეს გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაზე, პარტიული კადრების შერჩევასა და განაწილებაზე. უნდა გადავსინჯოთ ზემდგომი და ქვემდგომი პარტიული ორგანოების ურთიერთობის საკითხები. გაბედულად მოვიშოროთ თავიდან ცენტრის წარილმანი მეურვეობა.

მეოთხე, ახალ პირობებში პარტიული ორგანოების კომპეტენციისა და ფუნქციის განსაზღვრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი — პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოებად მათი გარდაქმნის პროცესი — ძალას იკრებს. სახალხო დეპუტატთა საბჭოების დამოუკიდებლობისა და რწმენებების გაფართოების შესახებ კანონპროექტის პაკეტის მიღების შემდეგ ისინი მოლიანად იკისრებენ სამეურნეო მართვის ფუნქციებს. რა რჩებათ მაშინ პარტიას, მის ორგანოებს, საზოგადოების განვითარების სტრატეგიული გეზის შემუშავებისა და მშრომელთა პოლიტიკური ინტერესების დაცვის გარდა? ჯაკითხი ღიად რჩება. ჩვენ გვჭირდება მექანიზმი, რომელიც მოაწესრიგებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყრილობის და, მეორე მხრივ, უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ყრილობის ურთიერთობას. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა შევინარჩუნოთ ამ მექანიზმის უმნიშვნელოვანესი რგოლი — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტების შეთავსება.

ერკუტსკის ოლქის წარმომადგენელმა გადასცა ანგარისპირელ კომუნისტთა წინადადება იმის თაობაზე, რომ პარტიის მორიგი, XXVIII ყრილობა გაიმართოს არა უგვიანეს მომდინარე წლის ივნისისა, პარტორგანიზაციებში საანგარიშგებო-საარჩევნო კამპანია — ყრილობის შემდეგ, რაც შესაძლებელს გახდის პარტიული ორგანოების სტრუქტურა შეფუსბამოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ წესდებას.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის **ვ. გ. ანუფრიევის** აზრით, ესოდენ მნიშვნელოვანი პლენუმისათვის მზადება ძალზე ნაჩქარევად მიმდინარეობდა. დარიგებული პროექტი ადამიანთა ძალზე ვიწრო წრეს შეუმუშავებია. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პროდუქტი. პარტია დანაწულია ზემოდან, თითქოს. ოლიმპოდან, პანრომულად, ამიტომ ბევრი დეტალი დარჩა ბუნდოვანი, წაშლილია სხვადასხვა დონე: პირველადი, პარტიული კომიტეტები, კომპარტიები. დოკუმენტის კულუარობა, დეკლარაციულობა, სადაც მეტია ფილოსოფია, ვიდრე პრაქტიკული ღონისძიებანი, მაღალფარდოვანი ენა, რომელსაც ყველა ვერ გაიგებს, ცხადზე უცხადესია.

კრიტიკულად შეაფასა რა მიმდინარე რეფორმები, ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ ეკონომიკის მოახლოვებული კრიზისის პირობებში ხელმძღვანელობამ დაკარგა რწმენა — გაჩნდა კომპრომისები, რომლებმაც გამოიწვია ორაზროვანი გადაწყვეტილებანი, სანაცვლო ღონისძიებანი, დაბნეულობას, მოწოდებებისა და მიმართვის გუულბრყვილო რწმენას მოჰყვა ეროვნებათშორისი კონფლიქტების გამწვავება და გაფიცვები. პოლიტიკური რეფორმა იმით დაიწყო, რომ პარტიული სტრუქტურები ჩამოშორდა ეკონომიკის ხელმძღვანელობას, არ შექმნილა ახალი სტრუქტურები საბჭოებში, რამაც გამოიწვია ეკონომიკის მართვის დაკარგვა. თავი იჩინა გამოცდილების უქონლობამ, ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ გამოავლინა ამ პროცესების მართვის კომპეტენტურობაც კი.

დღევანდელი რეალიებიდან გამომდინარე, ხაზგასმით აღინიშნა ორატორმა, ახლებურად უნდა შეეხედოთ თვით „პარტიის“ ცნებას, მის როლს საზოგადოებაში და კონკრეტულად გარდაქმნის პირობებში. მთავარია პარტიის რადიკალური განახლების გზაზე ადგილობრივი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების თვითმოქმედების განვითარება, პარტიული მასების ფაქტობრივი ძალაუფლების უზრუნველყოფა, შინაპარტიული ურთიერთობის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც პარტიის თითოეულ წევრს საშუალებას მისცემს საფუძვლიანად მოახდინოს გავლენა საერთო პარტიული პოლიტიკის შეშუშავებაზე, არჩევითი ორგანოების ჩამოყალიბებასა და საქმიანობაზე.

ორატორმა მხარი დაუჭირა პლენუმზე გამოთქმულ წინადადებებს ყრილობის დელეგატთა პირდაპირი არჩევნების შესახებ. დემოკრატიულად და აშკარად არჩეული დელეგატთა კორპუსი, როგორც მრავალ კომუნისტს მიაჩნია რესპუბლიკაში, უმეტესწილად გამოხატავს პარტიის ყველა წევრის შეხედულებებსა და განწყობილებებს.

უარყოფენ რა ფედერალიზმის პრინციპს, თქვა მან შენდეგი, ყაზახეთის კომუნისტები დაბეჯითებით მოითხოვენ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს კომპარტიათა უფლებები სკკპ პროგრამისა და წესდების ფარგლებში ორგანიზაციული, საკადრო, საფინანსო და სხვა საკითხთა გადაწყვეტაში. რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეიმუშაონ საკუთარი მოქმედების პროგრამა, განსაზღვრონ ყრილობების და კონფერენციების მოწვევის ვადები, მოაწყონ რეფერენდუმები, ურთიერთობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობა კომპარტიებთან და მათ ცენტრალურ კომიტეტებთან უნდა იგებოდეს არა პარტიულ დიქტატსა და ნებელობით ზემოქმედებაზე, არამედ ერთობლივად გამომუშავებულ გადაწყვეტილებათა, ურთიერთპატივისცემისა და მხარდაჭერის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით ყაზახეთის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა შემოიტანა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა ტერიტორიული სექტორების მუშაობის შინაარსის შეცვლის შესახებ, რომლებიც აქ უნდა წარმოადგენდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ინტერესებს, „ალიბდებოდნენ მათში თავიანთი წარმომადგენლების დელეგირების გზით. პირწმინდად უნდა გამოირიცხოს საკადრო გადაწყვეტილებათა თავსმოხვევის ცდები, როგორიცაა, მაგალითად, ცენტრიდან კომპარტიასთან ყოველგვარი მოთათბირების გარეშე თუნდაც ძალზე უნარიანი პარტიული ხელმძღვანელების გამოგზავნა.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო პლატფორმის ზოგიერთი დებულების წინაღმდეგობრივობას, განსაკუთრებით პარტიის როლის განმარტების ნაწილში.

პოლიტიკური პარტიები, ხაზგასმით აღნიშნა მან, სწორედ იმიტომ იქმნება, რომ მონაწილეობდნენ პოლიტიკურ და სახელმწიფო ცხოვრებაში. სხვათა შორის, არც სარეგონთშორისელები, არც სახალხო ფრონტი არ აპირებენ განერიდონ სახელმწიფო საქმეებსა და პოლიტიკურ ბრძოლას. ორატორმა წამოაყენა წინადადება ცალკე ჩამოყალიბდეს პლატფორმაში განაყოფილება გარდამავალი პერიოდის შესახებ. სანამ არ ამოქმედდება ახალი ეკონომიკური კანონები და გაჩნდება ეკონომიკის თვითგანვითარების ქმედითი მექანიზმები, პარტიამ უნდა შეასრულოს თავისი ხელმძღვანელი როლი, ამასთან გამოიყენოს ახალი, უკანასკნელ წლებში გამომუშავებული მართვის მეთოდები.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ ზუსტად უნდა განისაზღვროს მრავალპარტიულობის საკითხი. სხვადასხვა ფირნიშით შეიქმნა ასობით ნამდვილი პარტია. სირაქლემასავით თავი ქვიშაში არ უნდა ჩავმალოთ, არამედ უნდა გავიგოთ ობიექტური რეალობა. დადგა თანამშრომლობისა და გონივრული კავშირების ერა, პოლიტიკური ბრძოლისა და უკომპრომისობის ერა, რაც ჩვენ უკვე დაგვავიწყდა. ესეც უნდა შეეიმუშაოთ და ჩაეწეროთ პლატფორმაში.

ორატორმა აზრი გამოთქვა პარტიის თავმჯდომარის პოსტის დამტკიცებისა და პოლიტიკურ-კომის შექმნის შესახებ. მან წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს მუშაობაში კოლეგიურობის შესუსტება, ეს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობას წმინდა სიმბოლურს გახდის. შემოტანილია წინადადება: ორჯერ გაიხარდოს ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობა და მოკავშირე კომპარტიებს მიეცეთ კვოტა, ვთქვათ, 20-25 ადგილის როტაციით.

მისი თქმით, უთუოდ უნდა მოვაახლოვოთ ყრილობის გამართვის ვადები, რადგან ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს ახლანდელ შემადგენლობას უკვე არა აქვს საკმაო ავტორიტეტი საარსებოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მისაღებად.

დასასრულ ორატორმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა მოეკითხოთ იმათ, ვინც პასუხისმგებელია პარტიის ერთიანობის დაშლისათვის, იდეოლოგიური ჩავარდნებისათვის, აღმოსავლეთ ევროპის მოვლენებისათვის.

მან მოითხოვა შეტანილ იქნეს სიცხადე საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ, ანგოლის, ეთიოპიის, ნიკარაგუის, ვიეტნამის, კუბისადმი ეკონომიკური დახმარების საკითხში, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყენებული იქნენ პირნი, რომლებმაც ჩაშალეს საქმე და სახელი გაუტეხეს პარტიას.

დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოვისმინე პოლონეთში ჩვენი ელჩის ამხანაგ ბროვიკოვის მღელვარე და გულწრფელი გამოსვლა, თქვა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მთავარმა რედაქტორმა **ა. ა. ბელიაევმა.** ვიზიარებ მის მოსაზრებას, თქვა მან, იმის შესახებ, რომ დემოკრატია არ შეიძლება იყოს დისციპლინის გარეშე, კანონების მკაცრი დაცვის, სამართალდამცავი ორგანოების თავდადებული მუშაობის გარეშე. ყოველივე ეს აბსოლუტურად სწორია. მაგრამ მისი გამოსვლის ირთ ადგილას, მოგეჩვენა, რომ აქცენტები გადაადგილებული იყო.

შვიდი ათწლეულის მანძილზე დასავლეთის ბურჟუაზიული პროპაგანდა თავისი ქვეყნების ხალხის მასებს უნერგავდა ოქტომბრის, სოციალიზმის, საბჭოთა ადამიანის ბრმა სიძულვილს. მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი იყო ბოროტების, აგრესიის, არაადამიანურობის სიმბოლო. მაგრამ სწორედ გარდაქმნის ახალმა აზროვნებამ, სახალხო დიპლომატიის, კარგახსნილი კონტაქტების პრინციპებმა სულ რაღაც ხუთ წელიწადში საშუალება მოგვცა ძალზე ძლიერ დაგვიმსხვრია დასავლეთის ქვეყნების ხალხის მასების ყველა ეს წარმოდგენა.

მოვახერხეთ თავიდან აგვეშორებინა საშინელი დაქანება თერმობირთვული კომპარსიაკენ და შევგეჩერებინა დამანგრეველი გაძალებული შეიარაღება. ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის გარდაქმნის დიდი აქტივია. სხვა საქმეა, რომ ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განვითარების, ერთობლივ საწარმოთა შექმნის, ჩვენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების დასაბული სასიკეთო შესაძლებლობებით ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე ცუდად ვსარგებლობთ. ამისათვის უნდა მოვკითხოთ პრაქტიკოსებს, შესაბამის სამინისტროებს, და მოლიანად მინისტრთა საბჭოსაც. აღნიშნა რა, რომ კვლავაც უნდა განვავითაროთ კეთილმოსურნეობის დამოკიდებულება მსოფლიოსთან, ორატორმა მხარი დაუჭირა პლატფორმის პროექტის დებულებას იდეოლოგიური სიბეცის, დოგმატიზმისა და სხვა შეხედულებებისადმი შეურიგებლობის გადაჭრით უკუგდების შესახებ.

ამ ტრიბუნიდან, თქვა მან შემდეგ, ზშირად გასმოდა შეშფოთებული ხმები იმის შესახებ, რომ ხალხმა დაკარგა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ნდობა, რომ ჩვენს პარტიაში ღრმა კრიზისია. დიახ, საზოგადოებაში ვითარება უადრესად გამწვავდა. შემთხვევითი არ არის, რომ ცნობილი სოვეტოლოგი და ანტისაბჭოელი ბეჟინსკი უკვე გაჰყვირის კომუნიზმის კრახზე. მაგრამ პარტიას არ დაუკარგავს ხალხის ნდობა. განა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები არაფერს არ მოწმობს? დეპუტატთა 80 პროცენტზე მეტს კომუნისტები შეადგენენ. განა არჩევნები ახლა, რესპუბლიკურ და ადგილობრივ საბჭოებში, როცა კანდიდატთა 80 პროცენტზე მეტი დასახელებულია კომუნისტთა შემადგენლობიდან არ მოწმობს იმას, რომ სწორედ პარტიის წევრთა შორის ეძებს ხალხი ღირსეულთ?

მაშ, რა უტეხს სახელს პარტიას, რა აყენებს უმძიმეს დაკარგვას, ზოგჯერ ლამის ნოკდაუტში რომ აგდებს? ცალკეული პარტიული და საბჭოთა დიდაკცების ანგარებით აღსავსე ქცევა, რომლებიც ხან „ვოლგას“ აჭსენენ ძეხვითა და სპირტიანი სასმელის ყუთებით. როგორც ჩერნიგოვში, ხან კიდევ მუშების ნაცვლად მიდიან ტურისტულ მოგზაურობაში იაპონიაში და ჩამოჰყავთ იქიდან ორ-ორი ნახშარი „ტოიოტა“. ზოგიერთი კი საერთოდ არსად არ მეგზავრება — შინ ზის და არხეინად ყიდულობს „მერსედესს“, როგორც ამტკიცებენ, ხელმისაწვდომ ფასად.

ხოლო „პრავდაში“ გუშინწინდელმა სტატიამ „ალიევშჩინამ“ ყველანი შეაძრწუნა. აი, სწორედ ასეთი ადამიანები არყევენ პარტიისადმი რწმენას. დასახელებულ მაგალითებზე დაყრდნობით, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა შემოიტანა წინადადება ჩაწერონ, რომ პლენუმს სკკპ წევრობასთან შეუთავსებლად მიაჩნია პარტიაში ხელმძღვანელ პირთა დიდკაცური ქცევა, უხეშობა და უზრდელობა ამხანაგებისადმი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი ანგარებითი მიზნით გამოყენება. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, მკაფიოდ და ნათლად უნდა ვუთხრათ ხალხს ლენინის სიტყვებით: პარტიისბილეთიანი გარეწრების მიმართ პარტია უნდა იყოს უმოწყალო, რა პოსტიც უნდა ეკავოთ მათ. და ამ საკითხში ძალზე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პრესამ. საჯაროობამ, შეუქცევადმა და ალალმა საჯაროობამ, თავიდან უნდა აგვაცილოს ასეთი ადამიანებისაგან ანგარებითი ხელყოფა.

ეუბრუნდებით სოციალიზმის ლენინურ კონცეფციას. ეს სწორედ ლენინი ახლა განიცდის მასირებულ შეტევებს. სამწუხაროდ, ჩვენს, და არა საზღვარგარეთის პრესაში. ზოგიერთ პუბლიკაციაში იგი გამოხატულია პირდაპირ ტირანად: თითქოს ტერორიც ლენინმა გააჩაღა, საკონცენტრაციო ბანაკებიც შექმნა. ერთი სიტყვით, მშრომელი ხალხის ბელადი კი არა, ჯოჯოხეთის მოციქულია.

ამგვარ შეხედულებათა დამკვიდრებას ხელს უწყობენ სოლჟენიცინის თუ გროსმანის წიგნებში მოყვანილი მოსაზრებანი, ხოლო ჩვენი პუბლიცისტები, ისტორიკოსები, ლიტერატორები თითქოს დამნჯღდნენ. მარტო ამ ბოლო დროს „როდინასა“ და „პრავდაში“ პირველად გამოქვეყნდა ოქტომბრისა და ლენინზე სოლჟენიცინის შეხედულებათა მნიშვნელოვანი კრიტიკული ანალიზი, გაანალიზდა ვ. სოლოუხინის თხზულება „როცა ლენინს ეკითხულობთ“. ორატორმა მოუწოდა გააქტიურონ გარდაქმნის ახალი ეტაპის იდეოლოგიური უზრუნველყოფა, ამასთან განთავისუფლდნენ სტალინური დოგმებისაგან, უნარიანად დაიცვან ლენინი და ლენინიზმი.

და უკანასკნელი, რასაც შეეხო ორატორი. მე მესახება, თქვა მან, რომ ბოლომდე გააზრებული არ არის წინადადებანი რუსეთის სფსრ დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის დაუყოვნებლივ შექმნის შესახებ. დიახ, უთუოდ, რუსეთმა უნდა მიიღოს სუვერენიტეტი, თავისი სახელმწიფოებრივი და სხვა მმართველობითი ინსტიტუტები. მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია რუსეთის, იმ რესპუბლიკის კომუნისტების გარეშე, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს მთავარი ხერხემალია.

გამოხატა რა თავისი დამოკიდებულება პლატფორმის პროექტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ვ. ნიკიტინმა** ყურადღება მიაპყრო ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ ახალ ცნებას. მაგალითად, ჩვენი იდეალია ჰუმანური დემოკრატიული სოციალიზმი. რა არის ეს? დახასიათება პროექტში იმდენად უნივერსალურად არის წარმოდგენილი, რომ იგი სწორი იქნება ყოველი თანამედროვე საზოგადოებისათვის, თუნდაც არასოციალისტური ორიენტაციის იყოს. პარტიის საქმიანობის უმაღლესი საბოლოო მიზანი უფრო მკაფიო უნდა იყოს ადამიანთა ახალხდელი თაობებისათვის, რომლებიც სოციალიზმის სხვადასხვა განსაზღვრებას იცნობენ. და შემდეგ, რაღა ვუყოთ კომუნისტურ იდეალებს? ვფიქრობ, ისინი უკვალოდ არ უნდა გაქრეს.

შემდეგ, შემოდის ახალი ცნებები — „შრომითი კერძო“, „ჯგუფური“, „წილობრივი და საპაიო საკუთრება“, „თვითმმართველი თემები“, „თვითმმართველი საზოგადოება“, „სრულფასოვანი ავტონომია“, „ფრაქციები თავისი საშინაო ორგანიზაციითა და დისციპლინთ“. ორატორის აზრით, ყველა ისინი საჭიროა არ არის პარტიულ დოკუმენტში.

მისი აზრით, პლატფორმის ზოგიერთი დებულება კორექტული არ არის. მაგალითად: „ინტერნაციონალიზმის ერთგული კომუნისტებისათვის ერთნაირად ძვირფასია ქვეყნის ყველა ხალხის ინტერესები“. გამოდის, რომ არიან „ორგული კომუნისტები“, ანდა: „კომუნისტებს შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის როგორც ასეთის არა მუშაობას, არამედ მის ხელმძღვანელებს, როგორც პარტიის წევრებს“. ეს შეიძლება ასეც გავიგოთ: ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს პარტიის წევრი, ხოლო თუ მისი წევრი არ იქნება, მაშინ მის გაკონტროლებასაც აზრი არა აქვს.

და ბოლოს, გაუგებარია, რისთვის არის საჭირო, მით უმეტეს პარტიის დემოკრატიზაციის პირობებში, რუსეთის ბიუროს არჩევა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. რუსეთისაგან ცენტრალური კომიტეტში წარმომადგენლობითი შემადგენლობა რეგლამენტირებული არ არის, ამ არჩევნებისადმი ინტერესი მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის წევრთან ნაწილს ექნება. განა რუსეთის წარმომადგენლებს არ შეეძლება ჰქონდეთ უფლება თავად გადაწყვიტონ? ისინი ასეთ მიდგომას, ალბათ, არ დაეთანხმებიან.

ორატორმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი ლიტვის კომუნისტებთან შეხვედრების შესახებ. დიახ, იქ საკმაოდაა ექსტრემიზმი, ღრმაა სეპარატისტული გაწყობილებანი, აღნიშნა მან. მიმდინარეობს მასირებული პროპაგანდისტული კამპანია, რომლის მიზანია სსრ კავშირის შემადგენლობიდან ლიტვის გამოსვლა. აკნინებენ საბჭოთა ლიტვის მიღწევებს, რესპუბლიკის განვითარებას ნეგატიურად აშუქებენ და აიდეალებენ ბურჟუაზიული ლიტვის სახელმწიფოს. ყველაფერს აკეთებენ, რათა მოსახლეობის ფართო ფენებს არ ჰქონდეთ ობიექტური მონაცემები შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იქნება კავშირიდან მისი გამოსვლის პირობებში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ცვლილებებთან.

ყოველივე აღნიშნული შეზღუდული გარდაქმნის მიმდინარეობის გამო ხალხს უკმაყოფილებასთან. პატიოსან, კარგად მომუშავე ადამიანებს სურთ თავიდან მოიშორონ ხელოვნური სიძნელეები, უწესობა, შეუსრულებლობა, უყაირათობა. ყოველივე ამას უკავშირებენ ცენტრის დიქტატს. დაუბრუნდება თუ არა ლიტველ კომუნისტთა მეტი ნაწილი სკკპ პლატფორმას, თუ მათ მიბაძავენ სხვა რესპუბლიკებიც — ეს დამოკიდებული იქნება რეალურ ღონისძიებებსა და მოქმედებებზე, მათ შორის იმაზეც, თუ რა პლატფორმას შევიმუშავებთ.

პლატფორმის პროექტი, თქვა შემდეგ ორატორმა, შეიცავს აგრესიამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხებში პარტიის პოლიტიკის ცალკეულ ასპექტებს. დადასტურებულია მეურნეობრიობის ყველა ფორმის განვითარებისადმი, სოფლის სოციალური საკითხების გადაწყვეტის, ეკონომიკის აგრარული სექტორის პიორიტეტების შენარჩუნების, პროდუქტთა გადამუშავებისა და შენახვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისადმი ერთგულება. ყოველივე ეს ფრიად მნიშვნელოვანია და პირველად როდი მეორდება. ცარიელი კუქთი ვერ დაიცავ წონასწორობას ნებისმიერ პლატფორმაზე. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, გამოვნახოთ გამოცხადებული პოლიტიკის მატერიალიზაციის შესაძლებლობა. ადამიანებს ზოგჯერ არ შეუძლიათ აიძულონ თავი ირწმუნონ მაღალი გადაწყვეტილებანი, რადგან ზშირად ისინი არ სრულდება. მან მოიყვანა ამ აზრის დამადასტურებელი მაგალითები.

ორატორი შეეხო კიდევ ერთ თემას. დღეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომიტეტის ავტონომიური ოლქის საკითხი ტერიტორიული დავა რადა. იგი დასვა არა სომხეთმა, არამედ თვით მთიანი ყარაბაღის მოსახლეობამ, და მისი არსია ხალხის თვითგამორკვევა. სუმგაითში სომხეთის მასობრიგმა რბევამ ავტონომიისა და მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხი გადაზარდა ეროვნებათაშორის კონფლიქტად. ხოლო სომხეთის ეკონომიკურმა ბლოკადამ ეროვნებათაშორისი კონფლიქტი რესპუბლიკათშორის კონფლიქტად აქცია.

როგორც სუმგაითის სინდრომის შედეგი, ჩვენს ცხოვრებაში გაჩნდა უპრეცედენტო მოვლენა — ლტოლვილები მშვიდობიან დროში. სომხეთისა და აზერბაიჯანის ამბების ერთ სიბრტყეზე დაყენება, როგორც ამას ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ვერება, ნიშნავს, შეცდომაში შეიყვანო საზოგადოებრივი აზრი. მიუხედავად იმისა, რომ ორ შეზობელ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები ერთმანეთთან დაკავშირებულია, არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ისინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეზობლებთან ვერავითარი კონფლიქტით ვერ ახსნი და ვერ გადმართლებ იმას, რაც შესაძლებელი გახდა ბაქოში, ნახიჩევანში, ლენინაკანში და სხვაგან.

რესპუბლიკური პარტორგანიზაცია, თქვა შემდეგ მისმა ხელმძღვანელმა, იძულებულია მიმართოს უკიდურეს ზომებს, რათა არ დაუშვას ემოციების აფეთქება, კონტროლს დაუქვემდებარებელი არ გახადოს სიტუაცია. ბლოკადის გამო რესპუბლიკაში უკვე მრავალი თვეა პრაქტიკულად შემოღებულია საალყო წესები.

როცა ხალხი თავზარდაცემულია, ვერ ვახერხებთ ყველაფრის გაკონტროლებას. მაგალითად, სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ აღკვეთეს იარაღის ხელში ჩაგდების შემთხვევები.

ჩვენ სრულიადაც არ ვამართლებთ ამ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. მაგრამ უნდა დავინახოთ მთელი სიმართლე. აქ ამოქმედდა თავდაცვის ბუნებრივი რეაქცია, რომელიც შეძინილია ხალხის მწარე ისტორიული გამოცდილებით და ნაკარნახევია დღევანდელი დღის რეალობით. მაგრამ როცა ადამიანებმა იგრძნეს არმიის მხრივ დაცვა, მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი სამხედროთა მოქმედებას, დაიწყო მიტაცებული იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება.

ჩვენ არ ვაიგივებთ ექსტრემისტებს აზერბაიჯანელ ხალხთან და მხარს ვუჭერთ რესპუბლიკათშორის დიალოგს, კრიზისიდან ურთიერთმისაღები გამოსავლის გზების ძიებას. მაგრამ ცხადია, რომ ეროვნებათშორისი თანხმობისაკენ მიმავალი გზა ძნელი და ხანგრძლივი იქნება. მაგრამ ჩვენ მზად ვართ გავიაროთ ჩვენი ნაწილი. შექმნილ სიტუაციაში შემდგომი კონფრონტაციის თავიდან აცილების რეალური გზაა მთიანი ყარაბაღის დროებით დაქვემდებარება ცენტრის ადმი. ვფიქრობ, რეგიონში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებულ პრობლემათა კომპლექსი, მათ შორის ავტონომიური ოლქის საკითხი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალ სესიაზე სპეციალური განხილვის საგნად უნდა გადაქცეთ.

ორატორმა მხარი დაუჭირა აზრს, რომ საჭიროა მოვაახლოოთ XXVIII ყრილობის მოწყობის ვადები. ამას მოითხოვს პარტიასა და ქვეყანაში შექმნილი ვითარება, თქვა მან.

პრინციპულად სწორია დებულება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკურ კომპარტიებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი საპროგრამო დოკუმენტების შემუშავების შესაძლებლობა. ჰქონდეთ იმის უფლება, რომ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მთელი პარტიის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში.

საგულისხმოა, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ პლატფორმის პროექტში დადასტურებულია ერთა თვითგამორკვევის უფლების ლენინური პრინციპისადმი პარტიის ერთგულება, უკანასკნელი წლების დაკვეთილები გვიჩვენებენ, რომ მხოლოდ ამ პრინციპის თანამიმდევრული რეალიზაცია მოგვცემს საშუალებას გადავჭრათ ეროვნებათშორისი ურთიერთობის რთული პრობლემები.

პლატფორმის პროექტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იბრძოლებს თავისი, როგორც მმართველი პარტიის, მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, იმისათვის, რომ მიიღოს ხალხის მანდატი ყველა დონის ხელისუფლების ორგანოების შესაქმნელად. ამით აღიარებულია, რომ საზოგადოებაში უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებსაც უნარი შესწევთ სადავო გახადონ საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მდგომარეობა. ეს პირდაპირ უნდა ვთქვათ, დავაფიქსიროთ ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის დაწყებული ფორმირების ფაქტი, გავითვალისწინოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის იმის შესაძლებლობა, რომ საერთო მიზნების მიღწევის საკითხლდღეოდ შეერას ბლოკი ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე პროგრესულ ორგანიზაციებთან. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ პარტია თვითონ გამოიჩენს ინიციატივას სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის გადასინჯვის თაობაზე. ვიცოთ გულახდილნი, მისი ახლანდელი სახით შენარჩუნება ხელს არ უწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტს.

ჩვენ გვჭირდება ძლიერი დემოკრატიული ხელისუფლება, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყენოს საზოგადოება კრიზისიდან და უზრუნველყოს მისი დინამიკური განვითარება. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ საზოგადოებრივი მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურები ეფექტიანად მოქმედებენ, თუ ისინი ოპტიმალურად ეხამება ხელისუფლების გამგეობის ფორმას. ჩვენი წარმოდგენით, ქვეყანას სჭირდება ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილი პრეზიდენტი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კვლავ საღაც სუფევს...

«Он встает. Века. Гелаты.
Гдето факелы горят...
Б. ПАСТЕРНАКИ.

„ვარდები სიფლავზე მხოლოდ მწარე დაცინვაა“...
ტიციან ტაბიძე.

ბორის პასტერნაკის დაბადების 100 წლისთავისათვის შეკრებილი ფრიად დიდ საუბილეო კომისიაში ქართველ მწერლებთან გრიგოლ აბაშიძესთან, ირაკლი აბაშიძესთან, ჰაბუა ამირეჯიბთან, მუხრან მაჭავარიანთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად ფიგურირებს ტანიტ ტაბიძეც — ტიციან ტაბიძის ასული, როგორც შვილი ოჯახისა, რომელთანაც ლამის ნათესაურადაა დაკავშირებული ბორის პასტერნაკის ბიოგრაფია და შემოქმედება. იგია მემკვიდრე იმ ფუძისა, სადაც ტიციანთან და პაოლოსთან ერთად დღემდე სუფევს პოეტის სული.

გრიბოედოვის ქუჩა № 18. ტიციან ტაბიძის მემორიალური ბინა. აქ არათუ სტუმრობდნენ, არამედ ცხოვრობდნენ ხოლმე ესენინი, ანდრეი ბელი, ვიქტორ გოლცევი, ბალმონტების ოჯახი, პასტერნაკი. ამ სახლის დიასახლისს, სამგალითო მანდილოსანს ნინო ტაბიძეს უნდა უმადლოდეს შთამომავლობა იმ რელიკვიების გადარჩენას, რომლებიც მუზეუმის ფასდაუდებელ ექსპონატებად ქცეულა. მიუხედავად დიდი განსაცდელისა, რომელიც ოჯახმა განიცადა ტიციანის რეპრესირების შემდეგ, 1937 წლის მასობრივი დაპერების შედეგად, ნინო ტაბიძეს შეძლო შემოენახა ძვირფასი ხელნაწერები, წიგნები, ოკონოგრაფიული მასალა, რადგან სწამდა, რომ პოეტი უდანაშაულო იყო და მის ფუძეზე ოდესმე მუზეუმი დაარსდებოდა, რათა შთამომავლობას საშუალება მისცემოდა ეხილა ყოველივე ის, რაც პოეტის სულის ნაწილი გახდა, შეეცნოთ, თუ რაზე აღმოცენდება ეს შესარიტი მეგობრობა და ძმადნაფიცობა.

..მაინც, ალბათ, უფრო მეტად ძმადნაფიცობა, რადგან ტიციანისა და ბორის პასტერნაკის ურთიერთობას სწორედ ეს ცნება გამოხატავს. ამაში საბოლოოდ დაგარწმუნა ახლახანს გამოქვეყნებულმა დღემდე უცნობმა წერილებმა („ოგონიოკი“, 1990 წ. № 1), რომლებშიც არაერთხელ შეხვდებით ისევ და ისევ პაოლოსა და ტიციანის სახელებს, განსაკუთრებით საინტერესო კი 1954 წლის 30 ივლისით დათარიღებული ამ პუბლიკაციის ბოლო ბარათია, რომლის ადრესატი, ისევე როგორც წინამდებარე წერილებისა, ზინაიდა ნიკოლოზის ასული ნეიგაუზია, ბორის პასტერნაკის მეორე ცოლი და სულიერი მეგობარი:

„მინდა ვიმწყუნო, ეჭნებ ნინო თავისი ჯიუტი სიჩუმით საურპრიზს გვიმზადებს და უეცრად, შეტყობინების გარეშე გამოგვეცხადება ტიციანთან ერთად...“

რას ემყარება ეს მართლაც ჯიუტი და ბავშვური რწმენა, რომ მკვდარი მკვდარი არაა და ადამიანი, რომელიც ფეალთაგან გაქრა, ოდესმე უთუოდ დაბრუნდება?

...აკი თვითონ ტიციანიც ამბობს ერთ ლექსში, მერცხლად დაკბრუნდებიო.

ტანიტ ტაბიძე — ქალბატონი ნიტა მიამბობს საოცარ ამბავს 1988 წლის გაზაფხულზე: ის იყო ეს ჩვენეული ბინა მოვაწესრიგეთ სამუზეუმოდ და მერცხლებმა აივანზე ბუდე გაიკეთეს. ადრე აქ მერცხალი არ ყოფილა. ამას ესეც დაერთო: წიგნების დალაგებისას ერთ-ერთი წიგნიდან ფურცელი ამომიფრინდა — დაფწედი და ვიცანი მამის ხელნაწერი „როცა მერცხალი მონახავს ბუდეს“... მაინცდამაინც ლექსი მერცხალზე, დანარჩენი ხელნაწერები დედას ჩაბარებული ჰქონდა ლიტერატურულ მუზეუმში და ეს კი შემთხვევით შემორჩენილა.

...თითქოსდა ახდა ტიციანის წინასწარმეტყველება.

...თითქოსდა გესმით ბორის პასტერნაკის ხმაც, თბილისში უკანასკნელად ყოფნისას (1959 წ.) პოეტის სასოწარკვეთილი ხმა მეგობრის ბედის გამო, რომლის ნახვის იმედსაც არ კარგავს და რომლის გამოსახსნელადაც ყველანაირად იღვწის.

ქალბატონმა ნიტამ მაჩვენა ბორის პასტერნაკის ხელით დაწერილი თხოვნის ქაღალდები ბერიასა და მალენკოვის სახელზე, რათა გადაესინჯათ ტიციან ტაბიძის საქმე, იმ საბაბით, რომ მასში არაა არც ერთი კონკრეტული ბრალდება...

„პასტერნაკი განსაკუთრებული ადამიანი იყო, არავის ჰგავდა. იგი მუდამ აღსავსე იყო პოეტური შთაგონებით და ეს ყველას ატყვევებდა. საოცარი მოსმენა იცოდა —ზრდილობისა და თავაზიანობის გულისთვის კი არა, ადამიანის სიყვარულის, პატივისცემის გამო... ირგვლივ უნებლიეთ ყველა ემორჩილებოდა მის გავლენას, მის პოეტურ აღმფრენას“ — ასე ახასიათებს ნინო ტაბიძე თავის წიგნში გამოჩენილ რუს პოეტს ბორის პასტერნაკს.

და განა მარტო დედას, რამდენი რამა აქვს მოსაგონებლად ქალბატონ ნიტას — მისი ნამბობი-

მართლაც. დიდი კვალი დატოვა პასტერნაკის ცხოვრებაში საქართველომ — მოხდა ისე, რომ იგი ბედგამცვლელი, ახალი სიყვარულით აფორიაქებული და ატაცებული აღმოჩნდა საქართველოში პაოლოს მოპატიჟების წყალობით 1931 წლის ზაფხულში. პაოლოსთან გაიცნო ტიციანი და მისი მეუღლე — ნინო მაყაშვილი („აი, გაგვიღიმა, ჩვენც გავუღიმეთ და ამიერიდან უკვე სამარადისო მეგობრები შევიქენით“ — ასე აცოცხლებს იმ წუთებს ნინო ტაბიძე თავის წიგნში). ახლად შეძენილი მეგობრების მეოხებით მოინახულეს მან და ზინაიდა ნიკოლოზის ასულმა ვაჟთან, ადიკთან ერთად კოჯორი, კახეთი, მერე ქობულეთიც. საქართველოში ყოფნისას დაიწერა ძირითადად მისი ახალი ციკლის „მეორედ დაბადების“ ლექსები და ბალადები (1930-1932).

და დაახლომდა სამუდამოდ ბორის პასტერნაკს დარიალი და ლარსი, ქართული ზეცა, კავკასიონი, რომელიც მის წინ ისე ჩანდა, ვით ხელის გულზე, და ამიტომაც იყო ასე ხშირად ფიქრით საქართველოში ასეთი დიდი ადგილი ეკავა, ჩემდა უნებურად, შეუცნობლად მე ეს მხოლოდ გრძნობა მეგონა, მაგრამ რა ვიცოდი, თურმე ზღაპრული ფაქტი ყოფილ“ (იქვე, გვ. 171).

შემდეგ კი წიგნში „საპაერო გზები“ პასტერნაკი პაოლოზე და ტიციანზე დაწერს: „რისთვის მომივლინა განგებამ ეს ორი ადამიანი, ორივე ჩემი სამყაროს განუყოფელ ნაწილად იქცა“... ბოლომდე ზრუნვა მეგობრის ოჯახზე, ბოლომდე იმედი, რომ ტიციანი ცოცხალია, რადგან ზოგნი და ზოგნი აღრე თუ გვიან რაღაც სასწაულით დაბრუნდნენ იმ ჯოჯოხეთიდან...

...„გუშინ შემოიარა ფედინმა და მოულოდნელი ამბები მითხრა: ბაბელის „საქმეს“ მიბრუნებიან და ამბობენ, ცოცხალია და მალე გაათავისუფლებენ კიდეცო. მარშუნებდა, თითქოს უნახავთ დაბრუნებული ჩარენცი, რომელიც ყველას დახვრეტილი ეგონა. რატომ არ შეიძლება ასეთივე ბედი ეწიოთ ტიციანსა და პილნიაკს?“ (მწერალ ბორის პილნიაკის მეუღლის, ქართველი მსახიობის კირა ანდრონიკაშვილის დაბრუნებაც ეღვივებდა ნაპერწკალს პასტერნაკს ნ. ღ.).

ეს სტრიქონები ისევ ზინაიდა ნიკოლოზის ასულისადმი მიწერილი დღემდე უცნობი წერილიდანაა და გვარწმუნებს იმ მართლაც ზღაპრულ სიყვარულში, რომელსაც საქართველოში გამოგზავნილ წერილებში ამჟღავნებს პოეტი — ესე იგი, ის კი არ ანუგეშებდა მხოლოდ ტიციანის ოჯახს, მას ასე სწამდა და 1957 წელს, რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოგზავნილი დეპეშაც იგივეს მეტყველებს: ...მოხარული ვარ, რომ გაამართლეს, მაგრამ ეს ხომ ცოტაა. ცოცხალია თუ არა ტიციანი“...

ძმობას და თანადგომას ტაბიძეების ოჯახი ათმაგად უპასუხებდა იმ მძიმე წლებში, როდესაც ბორის პასტერნაკი „ქივაგოსათვის“ შერისხული იყო და მიუსაფარი, შვება კვლავ სიყვარულ თბილისში და ტაბიძეების ჭერქვეშ პოვა, ხოლო როდესაც ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა, მეუღლესთან ერთად ნინო ტაბიძეც თავზე ადგა პერედელკინოში და სულის ამოსვლამდე არ მომორეულა.

...სასთუმალქვეშ კი მაშინაც ტიციანის და რილკეს წერილები ჰქონია...

..კიდევ ერთხელ კავლებ თვალს პასტერნაკისეულ წიგნებს, პიანინოს, რომელიც მას ნიტას ვაჟისთვის — გივი ანდრიაძისთვის უჩუქებია პატარობისას, მუსიკა რომ ესწავლა, მაგრამ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გივი ანდრიაძე იმ რელიკვიით უფრო ამაყობს, ჯერ კიდევ 1948 წელს რომ გამოუტაზავნია თბილისში ბორის პესტერნაკს — ესაა „ექიმ ჟივაგოს“ მანქანაზე გადაბეჭდილი და პოეტის ხელით ჩასწორებული ეგზემპლარი.

...მეგობრობა გრძელდება, უკვე მეოთხე თაობაზე გადადის. კვლავ ისმის საყვარელი ლექსები ტაბიძეების პერქვეშ, სადაც ძანანა ორბელიანის სალონისებური სული ტრიალებდა, — აქ ისედაც ახლო იყო XIX საუკუნე, მოპირდაპირე სახლში ხომ ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი ტურფა ასულები ცხოვრობდნენ და აქვე მთაწმინდა!... აი, მრავალსომსწრე მრგვალი მაგიდა, (ამ სახლის პატრონიც ჭავჭავაძე იყო, ისიც ალექსანდრე); ერერეს პიანინო და ტიციანთან ერთად პასტერნაკის სულიც ისევ აქ სუფევს, ხოლო იქ, პერედელკინოში მისი ნუშტია, მის საფლავზე ახლა თოვლი და ყვავილების გროვაა, მაგრამ როგორც ტიციანი იტყოდა „ვარდები სიფლავზე მხოლოდ მწარე დაცინვაა“ მითუმეტეს კაცისათვის, რომელიც სიმართლისათვის სიცოცხლის. ბოლო წლებში ამქვეყნიურობისაგან მოკვეთილი ცხოვრობდა მოსკოვთან ახლოს, აგარაკზე, სადაც გლეხურად ესაყვარულებოდა ხეხილს და ყვავილნარს და დროდადრო სეგდით მიაჩერდებოდა პატარა ეკლესიას და იმ ფიქვნარს, თავის სამუდამო განსასვენებლად რომ დაიგულა.

ნანა ღვინეფაძე.

8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავის აღსანიშნავად დედაქალაქში ასაშენებელი წმ. სამების საკათედრო ტაძრის პროექტების საკონკურსო გამოფენა. დამსწრე საზოგადოებას ეს მოვლენა მიულოცეს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბურჯანაძემ, ქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ანდრიაძემ, კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა, საქართველოს ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ჯანბერიძემ.

წარმოდგენილია 30-მდე ნამუშევარი.

მადლიერი შთამომავლობა იხსენებს

საქართველოს დიდი მეფის— დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს შესანიშნავი საღამო მიუძღვნა დავით აღმაშენებლის საზოგადოებამ (თავმჯდომარე — მწერალი გ. ფანჯიკიძე). საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები, მსახიობები, მომღერლები...

ეს იყო ამაღელვებელი საღამო, ჭეშმარიტად ეროვნული ზეიმი, მადლიერი შთამომავლობა ლოცავდა დავით მეფის სიბრძნესა და სიდიადეს, პირობას დებდა, რომ ერთიანობით, ურთიერთსიყვარულითა და სულიერი ამაღლებით მიიღწევს სანუკვარ მიზანს — ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

სპორტის ამბები

სატურნირო ორბიტა

● **კალათბურთი.** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და რიგის ვეფის განმეორებითი მატჩი. ამ გუნდების პირველ შეხვედრაში, როგორც ვიუწყებოდით, სტუმრებმა გაიმარჯვეს. ამჯერად დინამოელებმა ყველაფერი გააკეთეს რევანშისათვის და მიაღწიეს კიდეც მიზანს. მართალია, პირველი ტაიმი რიგელებმა ერთი ქულის უპირატესობით მოიგეს (42:41), მაგრამ შესვენების შემდეგ ქართველმა კალათბურთელებმა ხელთ აიღეს თამაშის სადავეები და ინიციატივა საფინალო სასტვენამდე არ დაუთმიათ. 92:84 — ასეთი ანგარიშით დაამარცხა „დინამომ“ საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი.

● **ჩოგბურთი.** ახალი ზელანდიის კორტებზე კვლავ წარმატებით გამოდის ქართველი ჩოგბურთელი ლეონა მესხი. წინა კვირას ოკლენდში გამართულ ტურნირში გამარჯვების შემდეგ ლეონა შევიდა უძლიერესთა იმ ოთხეულში, რომლებიც ველინგტონში ასპარეზობენ. მეოთხედფინალში მესხმა დაამარცხა ავსტრალიელი ჩოგბურთელი ბეატა რეინშტადლერი (6:4, 6:0) და ახლა ახალზელანდიელ კლაუდინა ტოლიფასთან მოუწევს ბრძოლა. მან კი ბელგიელი სანდრა ვასერმანი დაჯაბნა (6:7, 6:2, 6:1).

მეორე ნახევარფინალში საბინა აპელმანსი (ბელგია) და ვულფრიდ პრობესტი (გფრ) შეხვდებიან.

● **ფეხბურთი.** სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა ტურნირში საწვრთნელი მატჩი გამართეს კლუბ „ალესანდრიასთან“, რომელიც იტალიის ჩემპიონატის მესამე ლიგაში თამაშობს, და გაიმარჯვეს — 3:1. ჩვენი გუნდიდან ბოლოს გაიტანეს ფოკინმა, ნარბეკოვასმა და კულივანოვმა.

გაერთიანებული არაბული საამიროების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც პირველად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, ამხანაგურ მატჩში მეორედ შეხვდა ამ ქვეყანაში სტუმრად მყოფ დანიის გუნდს და დამარცხდა 0:5. მათი პირველი შეხვედრა კი დამთავრდა ფრედ — 1:1.

იასონ აბაშიძე

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **იასონ ლევანის ძე აბაშიძე.**

დაიბადა 1904 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. 1928 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სატყეო-სამეურნეო სპეციალობის კურსი. მუშაობდა სპეციალობით. 1929 წელს კი პროფესორ ს. ქურდიანის შუამდგომლობით ბედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ჯერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დენდროლოგიის კათედრაზე, ხოლო 1930 წლიდან — თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ამავე კათედრის ასისტენტად. 1931 წელს ირჩევენ კათედრის დოცენტად. 1939 წელს იცავს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1960 წელს — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. ამავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1964 წელს ხდება საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ი. აბაშიძე 1929 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის ათამდე სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და მონოგრაფია, მრავალი მეთოდური მითითება და სხვა თვალსაჩინო მასალები. ახალგაზრდა მეტყევე სპეციალისტთა მომზადების საქმეში იგი იჩენდა უდიდეს პასუხისმგებლობასა და გულითადობას, იყო პრინციპული და მომთხოვნი, უაღრესად დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მის აღზრდილ მეტყევე სპეციალისტთა და მეტყევე მეცნიერთა შორის. 1945 წელს შექმნილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტში განაგებდა ტყის კულტურების განყოფილებას, სადაც მომზადდა მრავალი მეტყევე მეცნიერი.

ი. აბაშიძე აღმზრდელისა და მეცნიერის საპატიო მოვალეობებს ნაყოფიერად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე საწყალო დარგში, ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ინსტიტუტის დენდროპარკი, გაფართოვდა და განახლდა დენდრომუზეუმი.

სამშობლოს წინაშე მისი დამსახურება აღინიშნა ორდენებითა და მედლებით.

კარგი მოქალაქისა და მამულიშვილის, მეცნიერისა და პედაგოგის ი. აბაშიძის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგრონომრწყველი კომიტეტი; საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან მცირე ნალექი, მთებში თოვლი, ზვავსაშიშროება, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 0 — პლუს 5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო, მთებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სიმბო, მთალმთიანეთში ღამით 8-13 გრადუსი ყინვა, დღისით 0 — პლუს 5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში— ზოგან მცირე თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით მინუს 2 — პლუს 5, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთებში ღამით 4-9 გრადუსი ყინვა, დღისით 0 — პლუს 5 გრადუსი, მთალმთიანეთში ღამით 12-17 გრადუსი ყინვა, დღისით 2 — მინუს 7 გრადუსი.

თბილისი: ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით მცირე თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 0 — პლუს 2, დღისით 7-9 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ჟურნალიდან საკვლევი იუწყება 9 თებერვალი

მიღებულია ნამდვილად დიდი გადაწყვეტილებანი

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს პლენუმზე დიდი გადაწყვეტილებანი მიიღეს. მათ გააკეთეს ის, რაზეც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ვერც კი იფიქრებდნენ. ბევრი რამ, რა თქმა უნდა, გასაკეთებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მიღებულია დიდი გადაწყვეტილებანი. ნამდვილად დიდი“.

ტოკიო. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტ. კაიფუმ განაცხადა: „მიმაჩნია, რომ სსრ კავშირში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი ხელს შეუწყობს დიალოგისა და თანამშრომლობის განმტკიცებას მსოფლიო საქმეებში, მათ შორის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში. აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ გარდაქმნის გავლენა პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობაზე. აი რატომ არის, რომ იაპონია მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს.

● **ბულგარეთი**

ჩამოერთვათ წოდებები, ორდენები

სოფია. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულებით წოდებები, ორდენები და მედლები ჩამოართვეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტ. **ჟივკოვს,** პოლიტბიუროს ყოფილ წევრებს, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს გ. ფილიპოვს, მ. ბალევს, დ. სტოიანოვს, აგრეთვე ყოფილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს გ. ჯგაროვს, პ. დანჩევსა და ვ. ქოვაჩევს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის, კანონმდებლობის და სოციალისტური მორალის უხეში დარღვევებისათვის, უხეში შეცდომებისათვის, რომლებსაც ქვეყნის საზოგადოებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ღრმა დეფორმაციები მოჰყვა.

● **სსრკ-აშშ**

საკავშირო მოლაპარაკება

ვაშინგტონი. (საკადინი). **ამერიკა-საბჭოთა კავშირის საკავშირო მოლაპარაკება დაიწყება 12 თებერვალს ვაშინგტონში. ეს ოთხშაბათს გამოაცხადა საკავშირო მოლაპარაკებაზე პრეზიდენტის წარმომადგენელმა კარლა ჰილზმა.**

განხილვის ცენტრში იქნება შეთანხმების შეფუშავება, რომელიც გაწმენდს გზას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს მიენიჭოს უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი მეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში, ნათქვამია კ. ჰილზის აქ გავრცელებულ განცხადებაში. „ჩვენ ემუშაობთ კონგრესთან, გენერალურ უწყებათა წარმომადგენლებთან. აგრეთვე ამერიკის კერძო სექტორთან მჭიდრო კონტაქტით და, დარწმუნებული ვარ, შეგძლებთ, ეს შეთანხმება უმაღლესი დონის ივნისის შეხვედრისთვის მოვამზადოთ“, — თქვა მან.

კ. ჰილზმა გამოთქვა იმედი, რომ ვაშინგტონის მომავალი საკავშირო მოლაპარაკება ხელს შეუწყობს სსრ კავშირში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმას. „შეთანხმების წარმატებით დამთავრება შექმნის აგრეთვე საბჭოთა კავშირში ამერიკის ბიზნესის საკავშირო და კომერციული საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობებს“, — თქვა მან.

● **კოლონეთი**

უნესრიგობანი კრაკოვში

ვარშავა. კრაკოვში კვლავ მოხდა ქუჩის უწესრიგობანი. ისინი პროვოკაციულად გამოიწვიეს დაჯგუფების ექსტრემისტებმა, რომელიც საკუთარ თავს „ანტიკომუნისტურ ფრონტს“ („ა-ფრონტს“) უწოდებს.

მთავარ ბაზარზე ადამ მიცკევიჩის ძეგლთან გამართული თავყრილობის შემდეგ დაახლოებით 150 ახალგაზრდამ, რომლებიც გაიძახოდნენ ლოზუნგებს „საბჭოებო წადით შინ“ და „ძირს იალტა“, ქალაქის ქუჩებით სსრ კავშირის კრაკოვის გენერალური საკონსულო შენობისაკენ გაემართა. შენობის მისასვლელთან მთ გზა გადაუღობეს წესრიგის დამცველმა ძალებმა.

ხანმოკლე მიტინგის დროს დემონსტრაციის ორგანიზატორებმა სთხოვეს ახალგაზრდებს მშვიდად დაშლილიყვნენ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ხულიგანთა ჯგუფმა მილიციის თანამშრომლებს დაუშინა ბენზინიანი ბოთლები, საღებავიანი ქილები, ლითონის საგნები და ქვები. წესრიგის დამცველი ძალების მტკიცე მოქმედების წყალობით რამდენიმე წუთში საკონსულოს მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე სიმშვიდე დამყარდა. მაგრამ ხულიგანთა ჯგუფები, რომლებმაც გადაინაცვლეს ცენტრალური ვაგზლისა და ფოსტამტის რაიონში, განაგრძობდნენ თარეშს, ქვებსა და ბოთლებს უშენდნენ მილიციელებს.

გაქო

ქალაქი ძალას იკრებს

მოსკოვიდან ბაქოში გვიან ღამით ჩასულ უცხოელ და საბჭოთა ჟურნალისტებს თვითმფრინავის კიბესთან მასპინძლებად ავტომატიანი ჯარისკაცები დაგვხვდნენ. ახალგაზრდა ოფიცერმა თავი დაგვიკრა და გვთხოვა გავყოლოდით, აეროვაგზალში პატრულებთან ერთად მანქანაში ჩაგვსვეს და ქალაქისკენ გაგვამგზავრეს.

საბჭოთა ჟურნალისტები სასტუმრო „აფშერონში“ მოგვათავსეს. ჩემი ოთახის ფანჯრები მშვიდობის მოედანს გადაჰყურებს. ორი წელია ბაქოელები აქ მრავალათასიან მიტინგებს მართავენ. 19 იანვარს ღამით მოედანზე დიდი ტრაგედია მოხდა, რომელმაც ქვეყანა შეძრა.

სტუდენტთა თხოვნით ჟურნალისტები ვეწვიეთ ბაქოს უნივერსიტეტს. წინა საღამოს ჟურნალისტების ერთი ჯგუფი ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორმა, არარგანული ქიმიის კათედრის გამგემ ვ. აბშედოვმა მიგვიპატიჟა. იგი ბაქოდან წასული სომხების დაბრუნებას უდგას სათავეში — ჩამოაყალიბა საზოგადოება „დაბრუნება“, რომელშიც ორმოცდაათი მეცნიერი მუშაობა გაერთიანებული. მეუღლე — პროფესორი სვეტლანა მამედოვაც ჩაბა ამ საქმეში. მათთან შევხვდით „დაბრუნების“ კიდევ ერთ აქტიურ წევრს — თამილა ალიევას, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს. მან გამართულად იცის ქართული. დედამისი ელიკო გვარჯალაძე თბილისელი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ თამილა ბაქოში დაიბადა და იქვე გათხოვდა, მისი შვილები ქართულად შესანიშნავად ლაპარაკობენ: ბებიაა მათი მასწავლებელი.

ჩვენს ქალაქში სამოცდაათამდე შერეული ქართული ოჯახი ცხოვრობს, რომლებმაც მშობლიური ენა არ დაკარგეს და შვილთაშვილებს გადასცეს — მითხრა თამილამ.

საზოგადოება „დაბრუნებაში“ კიდევ არის რამდენიმე ასეთი ქართველი, მათ ხუთი ათასზე მეტი დეპეშა და წერილი გაუგზავნეს წასულ სომხებს. შედეგი უკვე გამოჩნდა. არამ აკოფოვმა მეუღლითა და ორი შვილით ექვსი თვის წინ დატოვა იქაურობა, სულ ახლახან კი დაბრუნდა. მუსიკის მასწავლებელი ჟანა გრიგორიანი ორი წლის წინათ დედასთან ერთად გაეცალა ბაქოს, მაგრამ როგორც კი წერილი მიიღო, უკან გამოეშურა.

ბევრი დაგვიბრუნდებაო, იმედოვნებენ ვაგიფ აჰმედოვი და მისი მეგობრები. ამ დღეებში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ნორდმა“ ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნა მიმართვა რუსულ-აზერბაიჯანულ წასული სომეხი და რუსი მოსახლეობისადმი: მშობლიურ მხარეში დაბრუნება სთხოვა.

ბაქო გონს მოდის, წელში იმართება.

კლარა აბრამია.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ტელევიზია — შაბათი, 10 თებერვალი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.30 — ქართული მულტფილმების პროგრამა. 9.50 — ათლეტიზმი. 10.10 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.40 — ხალხური შემოქმედება — „ოცდახუთსა ამ თვესაო“. 11.10 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.40 — კონცერტი „საახალწლო შეხვედრები“. 12.40 — შემოქმედებითი პორტრეტები — ბუხუტი ზაქარიაძე. 14.15 — **სპორტული** გადაცემა „იტალია-90“ (მეორე გადაცემა). 15.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.25 — საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.30 — „შუღარას ნაამბობი“. 16.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.00 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი პრესკონფერენცია“. 18.30 — ხელოვნების ლექტორიუმი — ფრანგული აღორძინების მხატვრების ნამუშევრები. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 21.00 — „საფრანგეთის ქვეშ“ (გადაცემა მესამე). 22.00 — „ვრემია“. 22.30 — ილუზიონი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.30 — ფილმ-კონცერტი. 10.25 — ჩვენი ბაღი. 10.55 — „ადამიანის ინსტიტუტი“. 11.55 — ცხოველთა სამყაროში. 12.55 — „ბორის პასტერნაკი“. 14.00 — მხატვრული ფილმი „დრომ ამოგვარჩია“. I და II სერია. 16.20 — ტაილანდი. ტრადიცია და თანამედროვეობა. 16.50 — მხატვრული ფილმი „ფრანგულის გაკვეთილები“. 18.30 — „ცისარტყელა“. „ორკესტრის თანხლებით“ (შვეიცარია). 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი „ჯატა და ჯამბაზი“. 19.55 — მხატვრული ფილმი „როგორ მოვიპაროთ მილიონი“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — ტელესკოპი. 22.45 — „ვიმღეროთ, მეგობრებო!“. 24.35 — ტელესპექტაკლი. ს. ლემი „ბუტერბროდი“. 1.25 — დღის ექო. 1.40 — მხატვრული ფილმი „ოთხთა გული“. 3.10 — „ანშლაგი! ანშლაგი!“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მხატვრული ფილმი „პირველი რეისი“. 10.30 — მულტფილმები. 10.45 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ჩელიუსკინელები“. I სერია. 11.50 — ტელეფილმის პრემიერა „და ჩვენს ხმას მსოფლიო გაიგებს“. 12.40 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ“ (გადაცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან). 13.40 — „იუბილეა-90“. რეგიონალური ეტაპი (გადაცემა მინსკიდან). 15.00 — ტელეფილმი „ოსტატი და ბრიგანდინა“. 15.30 — ვიდეოარხი „საბჭოთა რუსეთი“. 18.00 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი“. 18.10 — პროგრესი, ინფორმაცია, რეკლამა. 18.40 — ტელეფილმის პრემიერა „მე ექიმი ვარ“. 19.30 — „ვრემია“. 20.00 — პედაგოგიკა ყველასათვის. 21.00—„ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15—თუ თქვენ გადასცდით. 22.00 — „მდინარე ნევის ორფეუსი“. II ნაწილი. 22.40 — ტელეფილმი. 23.40 — „ჯაზის ვარსკვლავები“. 24.50 — კინოკონცერტი. 1.20 — მხატვრული ფილმი „ოქ